<ul style="list-style-type: none"> <li>ანოუ</li> <li>ჩვილობის ასაკის ძილის კუთვლითი მონარდი (BNSIM)</li> <li>პიპერეპლექსია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სუნთქვის შეკავების ეპიზოდები</li> <li>აბაზობილითა კუთვლითი მონარდი</li> <li>სანდიფერის სინდრომი</li> <li>აბაზობილითა კუთვლითი ტორტიკოლიზი</li> <li>თვალის ამორბული მოძრაობები</li> <li>რობული მოძრაობის დარღვევები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სუნთქვის შეკავების ეპიზოდები</li> <li>ვაზოვაგალური სინკოპე</li> <li>შაკიკი</li> <li>კუთვლითი პაროქსიზმული დავბრუსხვევა</li> <li>ტიკები</li> <li>რობული მოძრაობის დარღვევები</li> <li>პარასონიები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ვაზოვაგალური სინკოპე</li> <li>ნარკოლეფსია</li> <li>ძილის პერიოდში კიდურების პერიოდული მოძრაობები</li> <li>პაროქსიზმული დისკინეზია</li> <li>ტიკები</li> <li>ჰემიფაგიკალური სპაზმი</li> <li>შაკიკი</li> <li>ფსიქოგენური არაეპილეფსიური გულყრები</li> <li>პალუცინაციები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კარდიოგენური სინკოპე</li> <li>გარდამავალი იმეზიური შეტევა</li> <li>ტრანზიტული გლობალური ანენზია</li> <li>დელირიუმი ან ტოქსიკურ-მეტაბოლური ენკეფალოპათია</li> </ul>



ორი პრეპარატის კომბინაციის არჩევას ერთიდაიგივე მოქმედების მექანიზმის მქონე პრეპარატები ნაკლებად ეფექტურია სხვადასხვა მოქმედების მექანიზმის მქონე მედიკამენტებთან შედარებით. გულყრების რაოდენობის 50%-ით შემცირება ეფექტურ შედეგად ითვლება, თუმცა სრული რემისია უნდა დარჩეს სამიზნედ.

ასევე გამოიყენება გამოცდის ეტაპზე არსებული პრეპარტები როგორებიცაა: ლაკოზამიდი, ესლიკარბაზეპინი, პარამპანელი, რუფინამიდი – ლენოქს-გასტოს სინდრომის დროს. მკურნალობის ალტერნატიული ეფექტური მეთოდია კეტოგენური დიეტა, პაციენტების ნახევარს 50%-ზე მეტად უმცირდებათ გულყრების რაოდენობა.

პაციენტებში, რომლებშიც გულყრები არ ემორჩილებიან ანტიეპილეფსიურ თერაპიას და კეტოგენურ დიეტას და არ წარმოადგენენ ოპერაციის კანდიდატებს განიხილება ცლომიდონ ნერვის სტიმულაცია – გულყრათა რაოდენობის შემცირება 43 %-ში, თავის ტვინის ღრმა სტრუქტურების სტიმულაცია, იმუნოთერაპია (მაგ. რასმუსენის ენცეფალიტი, ლანდაუ-კლეფერის სინდრომი, ძილის ელექტრული სტატუსი), უნდა აღინიშოს კანაბიდიოიდების ეფექტურობა დრავეს და ლენოქს-გასტოს სინდრომებისას (1, 4, 6, 7, 8).

მიუხედავად ბავშვის ასაკისა რეფრაქტორული ეპილეფსიების დროს ასევე განიხილება ქირურგიული მკურნალობა, რადგან მაღალი სისხიროთ მიმდინარე გულყრები უარყოფითად აისახება ცხოვრების ხარისხზე და ხელს უშლიან ბავშვის სოციალურ და ფსიქოსოციალურ განვითარებას. ოპერაციის ტიპის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად, კომპლექსური მიდგომით. ეპილეფსიის პრეკირურგიული შეფასება მოიცავს მონაცემთა წინასწარ განხილვას, დამატებითი კვლევების და ჩვენების განსაზღვრას, ინდივიდუალური მიდგომის შემუშავებას. ტარდება შემდგომი ოპრაციები: ტემპორალური ლობექტომია შედარებით ხშირად გამოიყენებული მეთოდია, რომლის შემდგომაც გულყრისგან თავისუფლება პაციენტების 70–80%, ექსტრატემპორალური კორტიკალური რეზექციის შემდგომ რემისია აღინიშნება 80-92%-ში; ჰემისფერექტომია არჩევის მეთოდია სტარტუგებურის სინდრომის ან რასმუსენის ენცეფალიტის დიაგნოზისას და რე-

ფართო სპექტრი:	ვიწრო სპექტრი (ფოკალური):	ვიწრო სპექტრი (აბსანსი)
წამლები, რომლებიც გამოიყენება კრუნჩხვების ტიპების ფართო სპექტრის სამკურნალოდ (როგორც ფოკალური, ასევე გენერალიზებული დასაწყისი)	წამლები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ფოკალური კრუნჩხვების დროს	მხოლოდ აბსანსის ტიპის გულყრისას
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ზრივარაცეამი</li> <li>➢ კლოზაზამი</li> <li>➢ ფელბამატი</li> <li>➢ ლამოტრიჯინი</li> <li>➢ ლევეტირაცეამი</li> <li>➢ პერამპანელი</li> <li>➢ რუფინამიდი</li> <li>➢ ტოპირამატი</li> <li>➢ ვალპროატი</li> <li>➢ ზონისამიდი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➢ კარბამაზეპინი</li> <li>➢ ცენობამატი</li> <li>➢ ესლიკარბაზეპინი</li> <li>➢ გაბაპენტინი</li> <li>➢ ლაქოსამიდი</li> <li>➢ ოქსკარბაზეპინი</li> <li>➢ ფენობარბიტალი</li> <li>➢ ფენიტონი</li> <li>➢ პრეგაბალინი</li> <li>➢ პრიმიდონი</li> <li>➢ სტირიპენტოლი</li> <li>➢ ვიგაბატრინი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ეთოსუქსიმიდი</li> </ul>

მისია აღინიშნება შემთხვევების 2/3-ში, ასევე – ნეოკორტექსის რეზექცია, მრავალწილოვანი რეზექციები, დაზიანების კერის რეზექცია, ცალმხრივი პიპოკამპექტომია, კალოზოტომია (მაგ. ლენოქს-გასტოს სინდრომისას), მრავალჯერადი სუბპიალური ტრანსექციები. მრავალი სამედიცინო ცენტრი რეკომენდაციას უწევს მედიკამენტების მიღებას ოპერაციის შემდგომ მინიმუმ 6 თვე. ქირურგიული მკურნალობის გამოსავალი რემისია – 74 %-ში, მათგან 24 % რეციდივი, ქცევის გაუმჯობესება, შესაძლებელია ინტელექტის კოეფიციენტის დაქვეითება და საერთო სოციალური უნარების გაუმჯობესება, ასევე ჰემისფერექტომიის შემდგომ შესაძლებელია განვითარდეს ჰემიპარეზი. ლეტალობა ვითარდება 4-5 %-ში, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეპილეფსიის მქონე ბავშვებში სიკვდილიანობა 4-ჯერ მეტია ვიდრე იგივე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებში. (1, 6, 8, 10, 13).

**ბავშვთა კარდიოლოგია**

1. Angus Wilfong, MD, Douglas R Nordli, Jr, MD, J Seizures and epilepsy in children: Refractory seizures and prognosis uptodate Nov 2020
2. Daniel Delev a., Karlijn Hakvoort a, Alexander Grote a, Georg Neuloh a, Hans Clusmann a, 1, Marec von Lehe Quality of life in elderly patients after surgery for drug-resistant epilepsy – The impact of seizure outcome, neurological deficits and anxiety; Epilepsy & Behavior 112 (2020) 107410
3. Daniel Pérez-Pérez a, 1, Christian L. Frías-Soria b, 1, Luisa Rocha b, Drug-resistant epilepsy: From multiple hypotheses to an integral explanation using preclinical resources, Epilepsy & Behavior, 2019

4. Francesco Deleo a, Rui Quintas a, Katherine Turner b, Giuseppe Didato a, Elena Zambrelli The impact of perampanel treatment on quality of life and psychiatric symptoms in patients with drug-resistant focal epilepsy: An observational study in Italy Epilepsy & Behavior 2019
5. Lucia Margaria., Anna R. Legrottaglie Alessandra Vincenti, Giangennaro Coppol, Francesca F. Operto, Maura Buttiglione, Amalia Cassano, Nicola Bartolomeo, Maria A. Marigliò – Association between SCN1A gene polymorphisms and drug resistant epilepsy in pediatric patients, Seizure 55 (2018) 30–35
6. Martínez-Lizanaa., F. Gil-Lopezb, A. Donaireb, J. Apariciob, A. Brandta, M. Carreñob Outcome of treatment changes in patients with drug-resistant chronic epilepsy: A tertiary center experience; Epilepsy Research, 136 (2017) 97–102
7. Nallammai Muthiah a, Jun Zhang b, Madison Remick c, William Welch d, Yoshimi Sogawa d, Jong-Hyeon Jeong e, g, Taylor J. Abel c, f, Efficacy of vagus nerve stimulation for drug-resistant epilepsy in children age six and younger Epilepsy & Behavior 112 (2020) 107373
8. Patrick Kwan, M. D., Ph. D., Steven C. Schachter, M. D., and Martin J. Brodie, M. D Drug Resistant Epilepsy N Engl J Med 2011; 365:919-926
9. Park, K. M., Kim, S. E., Lee, B. I., 2019. Antiepileptic drug therapy in patients with drugresistant epilepsy. J. Epilepsy Res. 9, 14–26.
10. Puhán, M. A., Schunemann, H. J., Murad, M. H., Li, T., Brignardello-Pettersen, R., Singh, J. A., Kessels, A. G., Guyatt, G. H., Group, G. W., 2014. A GRADE Working Group approach for rating the quality of treatment effect estimates from network metaanalysis. BMJ 349, gnm5630.
11. Wheless JW, Gienapp AJ, Ryvlin P. Vagus nerve stimulation (VNS) therapy update. Epilepsy Behav. 2018;88S:2–10.

12. Zack MM, Kobau R. National and state estimates of the numbers of adults and children with active epilepsy — United States, 2015. MMWR Morb Mortal Wkly Rep. 2017;66(31):821–5.

13. ეპილეფსიის ფარმაკოთერაპიის ტენდენციური ფორმების დიაგნოსტიკა და მართვა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) 2017 წ

CONCLUSION

There are still many challenges to identifying which patients are truly treatment unresponsive. When seizures do not respond as expected to initial antiseizure drug therapy, it is important to reconsider the seizure classification and the appropriateness of the antiseizure drug regimens that have been tried. In addition, clinicians should consider whether the diagnosis of epilepsy is accurate, as misdiagnosis is common. A number of effective surgical treatments are available (focal resections, lobar or multilobar resections, corpus callosotomy, hemispherectomy, and multiple subpial transection). The procedure selected depends upon the type and localization of the

seizures. The ketogenic diet can be an effective treatment for specific patients with medically refractory epilepsy. Vagus nerve stimulation is also effective in the treatment of refractory epilepsy when surgery is not an option. Patients with epilepsy may have psychologic, behavioral, cognitive, neurologic, academic, and social problems caused by their seizures or by their chronic neurologic condition. In addition, mortality is increased in children with epilepsy compared with those without.

დასკვნა

ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები იმ პაციენტების იდენტიფიკაციაში რომლებიც ჭეშმარიტად არ რეაგირებენ მკურნალობაზე. როდესაც გულყრები ანტიეპილეფსიურ მკურნალობაზე არ რეაგირებენ, ისე როგორც მოალოდნელი იყო, მაშინ საჭიროა გადაიხედოს გულყრების კლასიფიკაცია და შეფასდეს გამოყენებული მედიკამენტების ადეკვატურობა. ამასთანავე კლინიცისტმა ეჭვი უნდა მიიტანოს დიაგნოზის ჭეშმარიტებაზე, რადგან დიაგნოსტიკის შეცდომები ხშირია. ხელმისაწ-

ვდომია არაერთი ქირურგიული მკურნალობის მეთოდი (ფოკალური რეზექციები, წილოვანი ან მრავალწილოვანი რეზექციები კალოზოტომია, კემისფერექტომია და მრავლობითი სუბპიალური ტრანსექცია). შერჩეული პროცედურა დამოკიდებულია გულყრის ტიპსა და ლოკალიზაციაზე. კეტოგენური დიეტა მკურნალობის ეფექტური მეთოდია რეფრაქტერული ეპილეფსიის მქონე პაციენტებში. ცდომილი ნერვის სტიმულაციაც ასევე ეფექტურია როდესაც ქირურგიული მკურნალობა შეუძლებელია. ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებს შეიძლება ჰქონდეთ ფსიქოლოგიური, ქცევითი, კოგნიტური, ნევროლოგიური, აკადემიური და სოციალური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია გულყრებით ან პაციენტების ქრონიკული ნევროლოგიური მდგომარეობით, კრუნჩხვებისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა ეპილეფსიის მქონე ბავშვებში სიკვდილიანობა მაღალია შედარებით ეპილეფსიის არ მქონე ბავშვებისა.

რეზიუმე

რეფრაქტერული ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვთა ასაკში

თინათინ ნადირაძე,

თსუ-ის გივი ჯვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის უფროსი ლაბორანტი

არსებობს გამოწვევები იმ პაციენტების იდენტიფიკაციაში რომლებიც ჭეშმარიტად არ რეაგირებენ მკურნალობაზე. როდესაც გულყრები ანტიეპილეფსიურ მკურნალობაზე არ რეაგირებენ, ისე როგორც მოალოდნელი იყო, მაშინ საჭიროა გადაიხედოს გულყრების კლასიფიკაცია და შეფასდეს გამოყენებული მედიკამენტების ადეკვატურობა. ამასთანავე კლინიცისტმა ეჭვი უნდა მიიტანოს დიაგნოზის ჭეშმარიტებაზე, რადგან დიაგნოსტიკის შეცდომები ხშირია. ხელმისაწვდომია არაერთი ქირურგიული მკურნალობის მეთოდი (ფოკალური რეზექციები, წილოვანი ან მრავალწილოვანი რეზექციები კალოზოტომია, კემისფერექტომია და მრავლობითი სუბპიალური ტრანსექცია). შერჩეული პროცედურა დამოკიდებულია გულყრის ტიპსა და ლოკალიზაციაზე. კეტოგენური დიეტა მკურნალობის ეფექტური მეთოდია რეფრაქტერული ეპილეფსიის მქონე პაციენტებში. ცდომილი ნერვის სტიმულაციაც ასევე ეფექტურია როდესაც ქირურგიული მკურნალობა შეუძლებელია. ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებს შეიძლება ჰქონდეთ ფსიქოლოგიური, ქცევითი, კოგნიტური, ნევროლოგიური, აკადემიური და სოციალური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია გულყრებით ან პაციენტების ქრონიკული ნევროლოგიური მდგომარეობით, კრუნჩხვებისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა ეპილეფსიის მქონე ბავშვებში სიკვდილიანობა მაღალია შედარებით ეპილეფსიის არ მქონე ბავშვებისა.

SUMMARY

DIAGNOSIS AND MANAGEMENT OF REFRACTORY EPILEPSY IN CHILDREN

TINATIN NADIRADZE

Laboratory Assistant, Department of Child Neurology, Givi Zhvania Academic Clinic, TSMU

There are still many challenges to identifying which patients are truly treatment unresponsive. When seizures do not respond as expected to initial antiseizure drug therapy, it is important to reconsider the seizure classification and the appropriateness of the antiseizure drug regimens that have been tried. In addition, clinicians should consider whether the diagnosis of epilepsy is accurate, as misdiagnosis is common. A number of effective surgical treatments are available (focal resections, lobar or multilobar resections, corpus callosotomy, hemispherectomy, and multiple subpial transection). The procedure selected depends upon the type and localization of the seizures. The ketogenic diet can be an effective treatment for specific patients with medically refractory epilepsy. Vagus nerve stimulation is also effective in the treatment of refractory epilepsy when surgery is not an option. Patients with epilepsy may have psychologic, behavioral, cognitive, neurologic, academic, and social problems caused by their seizures or by their chronic neurologic condition. In addition, mortality is increased in children with epilepsy compared with those without.



# FUNCTIONAL CONDITION OF THE CARDIOVASCULAR SYSTEM IN CHILDREN WITH HYPOTHYROIDISM

BEGENCH H. ANNAYEV

MD., PhD. Hospital with scientific clinical Centre of Cardiology (Turkmenistan)

## PURPOSE

The purpose of our work is to assess the functional state of the cardiovascular system in children with hypothyroidism

## INTRODUCTION

Hypothyroidism is a condition caused by a decrease in the function of the thyroid gland. There are primary, secondary and tertiary hypothyroidism. Primary hypothyroidism develops as a result of damage to the tissue of the thyroid gland itself, in secondary hypothyroidism, a decrease in thyroid function occurs as a result of damage to the pituitary gland, the cause of tertiary hypothyroidism is a violation of the hypothalamic regulation of the thyroid-stimulating function of the pituitary gland.

## MATERIALS AND METHODS.

The studies were carried out in the Department of Endocrinology of the Hospital with the Scientific and Clinical Center for Cardiology, Internal Medicine of the Scientific and Clinical Center for Maternal and Child Health Protection for the period 2018-2020. Among 86 sick children with thyroid diseases, studies were carried out for cardiovascular pathology. Of these, 48 are girls and 38 are boys. Of the surveyed 52 children suffered from primary hypothyroidism of varying severity and 34 children with autoimmune thyroiditis at the stage of subclinical hypothyroidism. The control group consisted of sick children with diffuse non-toxic euthyroid goiter. All examined children were 6-14 years old.



Hospital with scientific clinical Centre of Cardiology



## RESULTS-1

The main structure of cardiovascular pathology in diseases of the thyroid gland was as follows:

- vegetative-vascular dystonia - 75%,
- dysmetabolic cardiopathy 73.4%,
- transient myocardial dystrophy 13.1%,
- mitral valve prolapse 47.3%.

## RESULTS-2

In children with primary hypothyroidism was found the significant hormonal imbalance.

- The average concentration of thyroid-stimulating hormone (TSH) in the blood serum in 29% of patients exceeded normal values ( $p < 0.001$ ), which was an indicator of thyroid insufficiency.
- In 97% of cases were detected increased levels of antibodies to TG and TPO.
- The average levels of T3 and T4 were significantly ( $p < 0.005$ ) low, in contrast to the indicators of the control group.

## RESULTS-3

Based on the data obtained was analyzed the degree of myocardial changes depending on the functional state of the thyroid gland of the examined.

- It was found that the overwhelming majority of children with thyropathies (73.4%) had various signs of myocardial changes,
- while in children with euthyroid goiter in 61.3% of cases,
- in the presence of an autoimmune component in 81.2%,
- with primary hypothyroidism in 94% of cases.

## RESULTS-4

In patients with primary hypothyroidism, electrocardiographic changes were more pronounced:

- tachy and bradyarrhythmia syndrome was observed in 83.3%,
- T wave inversion - in 54.2%,
- impaired repolarization processes - in 47.1%,



Scientific and clinical Centre of maternal and child healthcare





WELCOME TO TURKMENISTAN

- the predominance of left ventricular potentials - in 29, 3%,
- incomplete blockade of the anterior branch of the right bundle of His bundle - in 26.1%,
- shortening of the PQ interval - in 23.5%,
- early ventricular repolarization syndrome - in 17.7%,
- depression of the ST segment - in 16.4%,
- nonspecific disturbances of intraventricular conduction - in 14.5%.

**RESULTS-5**

● Carried out the comparative assessment of the severity of structural and functional changes in the cardiovascular system depending on the functional state of the thyroid gland. The autoimmune component and subclinical hypothyroidism are regarded as leading predictors of cardiovascular pathology in children.

● A high incidence (73%) of cardiovascular pathology was found in relation to the functional state of the thyroid gland. Clinical and functional changes in the cardiovascular system in thyroid insufficiency depend on the morphological characteristics of the thyroid gland, the duration of the disease and the adequacy of the therapy.

**RESULTS-6**

● Revealed statistically significant increase in the total peripheral vascular resistance in patients with primary hypothyroidism and an autoimmune component (p <0.05) compared with the control groups. A direct correlation was noted between the index of total peripheral vascular resistance and the thyroid status of patients.

● Patients with hypothyroidism are characterized by moderate changes in the morphofunctional parameters of the

heart in the form of an increase in the size and dilatation of the left atrial cavity and the thickness of the LV walls, in contrast to patients with a euthyroid state, in whom mainly functional changes in the heart were revealed, without organic damage to its structures.

● Analysis of myocardial changes revealed a clear correlation between the degree of myocardial dystrophy, the duration of the disease and the adequacy of the therapy.

**CONCLUSIONS.**

● Thus, as a result of the study were established the features of electrophysiological and morphometric changes in the myocardium in children with autoimmune thyroiditis and primary hypothyroidism. The results obtained confirm the relevance of the problem of the relationship between the functional state of the thyroid gland and the cardiovascular system.

● Children and adolescents with nontoxic goiter should be included in the risk group for the formation of cardiovascular pathology. Subclinical hypothyroidism and the autoimmune component are considered predictors of the development of cardiovascular pathology.

● In order to improve the quality of children's health and improve the prognosis of pathology of the cardiovascular system, it is advisable to use iodine and thyroid hormones in complex therapy in combination with cardiotropic drugs.

**მულტისისტემური ინფლამატორული სინდრომი ასოცირებული SARS-CoV-2 თან კარდიოლოგიური ბართულებები**

**MULTI-SYSTEMIC INFLAMMATORY SYNDROME ASSOCIATED WITH SARS-COV-2 CARDIAC COMPLICATIONS**

ვევექსის პოსტიტლები – ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახლი კლინიკა

ნათია მებრეღიშვილი,

ბავშვთა გადაუდებელი დახმარების რეზიდენტი

Evex Hospitals - I. Tsitsishvili New Children's Clinic

NATIA MEGRELISHVILI,

Resident of emergency child care

„ახალი“ კორონავირუსი (CoV) არის კორონავირუსის ახალი შტამი.

კორონავირუსით გამოწვეული ავადობა პირველად გამოვლინდა ჩინეთის ქალაქ უხანში და მას ოფიციალურად ეწოდა „კორონავირუსის დაავადება-2019“ (CO – შემოკლებული „კორონა“, VI – შემოკლებული „ვირუსი“ და D – შემოკლებული „დაავადება“). ოფიციალურ სახელდებამდე ამ დაავადებას ეწოდებოდა „2019 წლის ახალი კორონავირუსი“ ან „2019-nCoV“.

ვირუსი COVID-19 ახალი ვირუსია და ის უკავშირდება ვირუსების იმავე ჯგუფს, რომელსაც განეკუთ-

ვნება „მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი“ (SARS) და გაციების ზოგიერთი ფორმა.

WHO მიერ COVID-19 პანდემიად გამოცხადდა 2020 წლის 11 მარტს.

**მულტი სისტემური ინფლამატორული სინდრომი CDC დეფინიცია:**

21 წლამდე ბავშვებსა და მოზარდებს, რომელთაც აღენიშნებათ შემდეგი სიმპტომები: ცხელება; ლაბორატორიულად დადასტურებული ანთება; დაავადების მძიმე მიმდინარეობა;



ასეთ შემთხვევაში საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, 2 ან მეტი ორგანოს დაზიანება და არა გვაქვს ალტერნატიული შესაძლო დიაგნოზი

გვაქვს SARS-CoV-2 დადასტურებული დიაგნოზი ანტიგენის სწრაფი ტესტით, ან პურ ტესტით, ან კონტაქტის არსებობა SARS-CoV-2 დაინფიცირებულთან წინა 4 კვირის განმავლობაში სიმპტომების გამოვლინებამდე.

■ მულტი სისტემურ ინფლამატორულ ინფექციაზე ეჭვი ჩნდება – მიმდინარე ცხელებისას, ლაბორატორიულ კვლევებით ანთებითი მარკერების მატებისას (rodesac პაციენტს მომატებული აქვს 4 ან მეტი მარკერი), მრავლობითი სისტემების ჩართულობა და კლინიკურად მიიმე ავადობა.

MIS-C მულტისისტემური ანთებითი ინფექცია: პლიუს დართული SARS-CoV-2 ან ცნობილია კონტაქტი დაინფიცირებულ პირთან/წყაროსთან

● ჩაატარეთ ექოსკოპიური კვლევა თუ ის ჯერ კიდევ არ ჩატარებულა აღწერეთ ICU- ში პაციენტები შოკის ნიშნებით, გამოხატული გულის დისფუნქციის ნიშნებით

● ჩაატარეთ კონსულტაციები ინფექციონისტის, რევმატოლოგის და კარდიოლოგის. მიზანია ჯგუფური განხილვები, დისკუსიები და ინტერპრეტაციები

● ანტიბიოტიკოთერაპია მხოლოდ სეფსისის დროს ან თუ ეჭვია ბაქტერიულ ინფექციაზე

● გაითვალისწინეთ პაციენტებს, რომელთაც აქვთ მსუბუქად მიმდინარე ავადობა

### COVID-ის მკურნალობა მწვავე ფაზაში

● განიხილეთ MIS-C-ის ალგორითმი თუ მითითებული გაქვთ

● უნდა დაიგეგმოს ყოველდღიურად მრავალ პროფილური კონსულტაციები და უნდა მოხდეს თითოეული თემის განხილვა, განსაკუთრებით პაციენტებში რომელთაც უწევთ მეთვალყურეობას

● განიხილეთ კლინიკური კვლევები პათოგენეზური მკურნალობა: გადაწყვიტეს მხოლოდ ინფექციონისტთან შეთანხმებით

● რემდესივირი მიღება ხდება პირადობის დამადასტურებელი ID-ით (gadaudeblad ან სახელმწიფო განავილებით) რადგან კვლევაშია

● კონვალესცენტის პლანში იშვიათ შემთხვევაში

### კვლევები და კონსულტაციები

● ლაბორატორია პირველი რიგის ლაბ. კვლევები -COVID PCR, RVP, CBC/d, CRP, ESR, LDH, UA, AST, BMP, D-დიმერი, ფერიტინი, ალბუმინი

● მეორე რიგის ლაბორატორიული კვლევები -BNP, ტროპონინი, ფიბრინოგენი, INR/PT/ PTT, ნიმუშების შენახვა, COVID IgG

- EKG,
- CXR
- ექოკარდიოგრაფია

### კონსულტაციები

● ინფექციონისტის, რევმატოლოგის და კარდიოლოგის.

### მკურნალობა იმუნომოდულატორები

● დექსამეტაზონი: განიხილება პაციენტებში, უფრო მოზარდებში რომელთაც ესაჭიროებათ დადებითი წინევით ვენტლაცია ან პაციენტებში რომელთა მდგომარეობაც სწრაფად მიიმედ პროგრესირებს დექსამეტა-

ზონი -0. 15 მგ / კგ / დოზა (6 მგ მაქსიმუმ) დღეში ერთხელ 10 დღის განმავლობაში

● სხვა კორტიკოსტეროიდები: გაითვალისწინეთ მწვავე რდს -ის დროს ან რევმატოლოგის კონსულტაციით ჰიპერინფლამაციის

● ბიოლოგიური იმუნომოდულატორები – ანაკინრა რევმატოლოგთან შეთანხმებით ჰიპერინფლამაციის დროს

### ღამხმარე მკურნალობა:

● პროფილაქტიკური ანტიკოაგულანტები: ჰეპარინით ან ენოქსაპარინით თუ კრიტიკულია – მაღალია დაავადებულის რისკ ფაქტორები. მკურნალობა გრძელდება რისკების გამოსწორებამდე ან კლინიკიდან გაწერამდე

● მექანიკური პროფილაქტიკა · SCD-ის დროს თუ შესაძლებელია

● ჰიდროკორტიზონი სტრესული დოზა -პაციენტები რომლებიც მოხმარებენ ქრონიკულად გლუკოკორტიკოიდებს, თუ ფებრილურია, თუ საჭიროებს O2-ს, გამოხატულია ჰიპოტენზია ან აუხსნელი ღებინება

### ღამხმარე მკურნალობა:

● დადასტურებული/დოკუმენტირებული თრომბოზები (ჰემატოლოგის კონსულტაცია) ანტიკოაგულანტების პროფილაქტიკური დოზირების ჩვენებები (ჰეპარინი ან ენოქსაპარინი):

● კრიტიკული დაავადებები და ჩამოთვლილთაგან ერთი ან მეტი

- ანამნეზში თრომბოზის ისტორია
- ანამნეზში შექნილი ან მექანიკური თრომბოფილია
- სედაცია და კუნთების რელაქსაცია
- D-დიმერი > 3mcg/ml
- ნებისმიერი რითმის დარღვევა ან გულის ბლოკადა ან სხვა
- ინოტროპების ინფუზია
- ცენტრალური ვენის კათეტერი
- > 13წელზე

### დიფერენციალური დიაგნოზი

● კავასაკის დაავადება -უფრო ხშირია მცირე ასაკის ბავშვებში, თუ COVID -ის ტესტი უარყოფითია და არ არის გამოხატული შოკი ან კარდიალური დისფუნქცია

● ბაქტერიული ინფექციები/სეფსისი

● სტაფილოკოკური და სტრეპტოკოკური ტოქინებით გამოწვეული დაავადებები

● სტაფილოკოკური სკალდირებული კანის სინდრომი -Staph Scalded Skin Syndrome (SSSS)

● ტკიპებით გამოწვეული დაავადება

● ვირუსული ინფექციები – წითელა, ადენო ვირუსი, ენტერო ვირუსი, მწვავე COVID ინფექცია

● მიოკარდიტი – შესაძლოა გადაფაროს MIS ან სხვა ალტერნატიული მიზეზით იყოს განპირობებული

### ორბანოთა სისტემების დაზიანება

- გასტროინტენსტინალური ჩივილები 92%
- კარდიოვასკულარული 80%
- ჰემატოლოგია 76%
- კანი ლორწოვანი 74%
- რესირატორული 70%
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა 23%
- ნევროლოგიური 6%



პარლიოვასკულარული დაზიანებები

- პიპოტენზია ან შოკი
- გულის არითმიები ან დისრითმიები
- განდევნის ფრაცია
- ფილტვის შეშუპება და გულის უკმარისობა
- კორონარული არტერიის დაზიანება z ქულა  $\geq 2$
- პერიკარდიტი ან პერიკარტიული გამონაჟონი ან ვალვულიტი - გულის სარქველის ანთება ან მიოკარდიტი

● B ტიპის ნატრიურული პეპტიდი (BNP) > 400 გგ / მლ

- მომატებული ტროპონინი
- ვაზოპრესორის ან ვაზოაქტივის მიღება – მხარდაჭერა
- გულფილტვის რეანიმაცია (CPR)

### პათოფიზიოლოგია: მიოკარდიუმის დაზიანების მიქანიზმი

- დღევანდელი მონაცემებით არ არის ბოლომდე აღწერილი.
- სხვადასხვა პაციენტში განსხვავებული მექანიზმით მიმდინარეობს.
- კარდიოლოგიური გართულებების განმაპირობებელი შესაძლო პათოფიზიოლოგიური მექანიზმებია: ვირუსული მიოკარდიტი, კარდიომიოპათია, სისტემური ანთება, იშემია განპირობებული კორონარული არტერიის ჩართულობით.
- შეიძლება იყოს რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმის კომბინაცია

### პერიკარდიტი – პერიკარდიტი პერიკარდიუმის, გულის გარეთა გარსის, მწვავე ან ქრონიკული ანთებაა

- დღევანდელი მონაცემებით არ არის ბოლომდე შესწავლილი
- სხვადასხვა პაციენტში განსხვავებული მექანიზმით მიმდინარეობს.
- კარდიოლოგიური გართულებების – „პერიკარდიტის“ განმაპირობებელი შესაძლო პათოფიზიოლოგიური მექანიზმებია:
  - ინფექციური (ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი, პარაზიტული.)
  - ვირუსული ინფექცია პერიკარდიტის ყველაზე გავრცელებული მიზეზია. ხშირად მწვავე პერიკარდიტი ზედა სასუნთქი გზების ვირუსული დაავადების შემდეგ, ავადმყოფობიდან მე-12-15 დღეს ვითარდება.

### ჩვენი კლინიკის ძმისი

■ კლინიკაში შემოვიდა 10 წლის პაციენტი ავადობის 5 დღიანი ანამნეზით. ავადობა დაეწყო ცხელებით, ნაწლავთა არამყარი მოქმედებით, რასაც დაერთო ხველა. დინამიკაში გამოვლინდა პიპოტენზია. ჩაუტარდა COVID-19-ზე PCR კვლევა – პასუხი დადაებითი, რის შემდგომაც პაციენტი კატასტროფის ბრიგადის მიერ, მოყვანილ იქნა ჩვენს კლინიკაში.

ვიტალური პარამეტრები შემოსვლისას:  
 HR-132 RR- 36 T - 37. 1\*-C SPO2-86%ოთახის პაერზე


გამოხატული იყო სუნთქვის უკმარისობის ნიშნები: ტაქიპნოე, ტაქიკარდია, გულმკერდის რეტრაქცია, სუნთქვაში დამხმარე მუსკულატურის ჩართულობა, იყო დესატურირებული. ანამნეზიდან აღსანიშნავია თანმხლები დაავადება დაუნის სინდრომი.

ჩაუტარდა კვლევები CBC; ABG; ALT;AST; CRP; D-ლიმერი; LDH; CR; კოაგულოგრამა; Ssa; CXR. დაწყებულ იქნა მკურნალობა ოქსიგენოთერაპია ნიღბით, ბონქოლიდატორები, ინფუზური თერაპია, ანტიბიოტიკოთერაპია.

### ჩვენი კლინიკის შემთხვევა

- პაციენტთან დადასტურდა პნევმონია, რაც გართულებულია ARDS-ით.
- გადაყვანილ იქნა CPAP ტილაციაზე, დინამიკაში გაკონტროლდა კვლევები, საჭიროდ ჩაითვალა გულის ულტრასონოგრაფია,
- ექოსკოპიური კვლევით – პერიკარდიუმის ღრუში თვალყურდობა დიდი რაოდენობით სითხე ცირკულარულად, სეპარაცია 3სმ სითხე ჰომოგენურია.
- ჩატარდა პერიკარდიოცენტეზი; დინამიკაში გაკონტროლდა გულის ექოსკოპია.
- დღეს პაციენტი აგრძელებს კლინიკაში მკურნალობას, სტაბილიზაციით.

### პარდიოლოგიური შემთხვევა



- ტროპონინის და BNP/NT-pro-BNP-ის გარდა მოწოდებულია სტანდარტული 12-განხრიანი ელექტროკარდიოგრამა და ექოკარდიოგრაფია.
- ექოკარდიოგრაფიულად უნდა შეფასდეს:
  - მარცხენა პარკუჭის ზომა და სისტოლური ფუნქცია. (საბოლოო – დიასტოლური მოცულობა და განდევნის ფრაცია)
  - მარჯვენა პარკუჭის სისტოლური ფუნქცია;
  - კორონარული არტერიების ცვლილებები;
  - სარქველების ფუნქცია;
  - პერიკარდიული ფიზიის არსებობა და მისი ზომა;
  - ინტრაკარდიული თრომბოზის და ფილტვის არტერიის თრომბოზის შეფასება (მარცხენა პარკუჭის მძიმე დისფუნქციის დროს შესაძლოა იყოს გამოხატული აპიკალური თრომბოზი);
  - დაჭიმულობის გამოსახულება და მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქცია (არჩევითად);

### ემოკარდიოგრაფია - ექოკარდიოგრაფიული დასკვნები შეიძლება მოიცავდეს

- დეპრესიული LV ფუნქცია;
- კორონარული არტერიის (CA) ანომალიები, დილატაციის ან ანევრიზმის ჩათვლით;
- მიტრალური სარქველის უკმარისობა;
- პერიკარდიუმის გამონაჟონი;

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. Uptodate;
2. BMJ;
3. COVID-19 პროტოკოლი სიეტლის კლინიკის.



რეზიუმე

მულტისისტემური ინფლამატორული სინდრომი ასოცირებული SARS-CoV-2 თან კარდიოლოგიური ბართულებები

ვექსის ჰოსპიტლები – ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახლი კლინიკა ნათია მეგრელიშვილი, ბავშვთა გადაუდებელი დახმარების რეზიდენტი

შრომაში გაანალიზებული შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ამ ვერავი დაავადების დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიურ პროცესში ჩაბმას, რომელის მართვის სპეციფიურობას მოითხოვს.

SUMMARY

MULTI-SYSTEMIC INFLAMMATORY SYNDROME ASSOCIATED WITH SARS-COV-2 CARDIAC COMPLICATIONS

Exev Hospitals - I. Tsitsishvili New Children's Clinic NATIA MEGRELISHVILI, Resident of emergency child care

Cases analyzed in the work once again confirm the involvement of the cardiovascular system in the pathological process of this incurable disease, which requires specificity of management.

კარდიო ვარჯიშების გემოქმედება ბავშვთა ფიზიკურ მდგომარეობაზე

THE IMPACT OF CARDIO EXERCISES ON THE PHYSICAL CONDITION OF CHILDREN

გივი გოგოძე ფიზიკური აღზრდისა სპორტის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი GIVI GOGODZE Assistant Professor at the University of Physical Education

მცირე წლოვან ბავშვებში, ადრეულ ასაკში პერიოდიზაციად, ერთიდან სამ წლამდე ასაკი მიიჩნევა. ეს სწორედ ის განსაკუთრებული პერიოდია, როცა მთლიანად ადამიანის ორგანიზმის სისტემები იწყებენ ჩამოყალიბებას.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მიექცეს პატარა ასაკში მათ ფიზიკურ განვითარებულობას, როგორცაა სიარული, სირბილი, ხტომები, ცოცვა, ცურვა, თამაშები. ბავშვებისთვის აუცილებელია სპორტით დაკავება, ამიტომ ფიტნესი მტკიცედ უნდა შემოვიტანოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან ფიტნესი და ფიზიკური აქტივობა ბავშვებს უყალიბებს სწორ ტანჭერას, სწორ მოძრაობით სტერეოტიპებს და სიცოცხლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

თანამედროვე ბავშვი, როგორც წესი ხშირ შემთხვევებში ზარმაცია. რთულია მისი ტელევიზორისგან და განსაკუთრებით, კომპიუტერებისგან და მობილური ტელეფონებისგან მოშორება.

ინტერნეტის გამოჩენამ შეცვალა ცხოვრების წესი, დაიწყო ახალი ეპოქა და ბავშვები ნაკლებ არიან დაკავებული სპორტით და აქტიური ცხოვრების წესით.

სპორტს დღეს ნებისმიერი ასაკის ადამიანის გაჯანსაღების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. უდავოა, რომ სპორტული წვრთნა ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი დადებითი პიროვნული თვისებების ჩა-

მოყალიბებას, როგორცაა ხასიათის სიმტკიცე, ამტანობა და დასახული მიზნების მიღწევა.

მოძრაობითი აქტივობა ყოველთვის იყო და რჩება ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვთა ორგანიზმის განვითარების, ნორმალურად ფუნქციონირების და თავად მისი არსებობისთვის აუცილებელ პირობად.

დღესდღეისობით ფიტნესის მრავალი სახეობა არსებობს. განვიხილოთ ბავშვებისთვის ყველაზე მისაღები ფორმები:

ბოდიფლექსი, ეს ერთგვარი სუნთქვითი ვარჯიშებია კუნთების დაძაბვითა და დაჭიმვით. ბოდიფლექსით ვარჯიშის დროს სხეულის კუნთური მასა და უჯრედები ივსება ჟანგბადით, რაც ხელს უწყობს ბავშვებში ნივთიერებათა ცვლას. ბავშვებში აერობიკა ერთ-ერთი პოპულარული ფიტნესის სახეობაა, რომელიც მოიცავს სუნთქვით ვარჯიშებს და ვარჯიშებს კუნთებისა და პლასტიკისთვის. აერობიკა ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაძლიერებასა და ლამაზი სხეულის ჩამოყალიბებას.

ბავშვები იშვიათად სუნთქავენ სწორად ვარჯიშის დროს – სუნთქვის ოქროს წესია მოძრაობის დაწყებისას ჩასუნთქვა, დამთავრებისას კი ამოსუნთქვა. სუნთქვა ვარჯიშის განუყოფელი ნაწილია. ეს ხსნის იმას, რომ სასუნთქი სისტემა გულ-სისხლძარღვთა სისტემასთანაა კავშირში და ისიც ისევე რიტმულად მუშა-



ობს, როგორც ჩვენი გული და ისევე რიტმულად და ინტენსიურად მოძრაობს, როგორც სისხლი. ეს პროცესი მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ძლიერ ფიზიკურ ვარჯიშებს ვასრულებთ, ანუ კარდიო ვარჯიშებს.

### დასკვნა

ბავშვთა სპორტით დაკავება აუცილებელია, ის არეგულირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების გამტარუნარიანობას. ჩვევაში გადასული სპორტული ვარჯიშები აძლიერებს და აკაუებს სხეულის ძვალ-კუნთოვან მასას და მთლიანობაში ჩონჩხს.

მცირე დოზით კარდიო ვარჯიშები ბავშვებში მათი ორგანიზმის შესაძლებლობას ამადლებენ. ამ ტიპის ვარჯიშთა შედეგად განვითარებული დადებითი ძვრები მნიშვნელოვნად განავითარებენ გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვითი და სისხლის ნერვოკუნთოვანი სისტემების ფუნქციურ მდგომარეობას და მთლიანობაში, დადებითად აისახებიან ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა კარდიოლოგია, ვარჯიშში ადრეულ ასაკში, ფიზიკური განვითარებულობა, ჯანმრთელობა, ფიტნესი

### რეზიუმე

## კარდიო ვარჯიშების ზემოქმედება ბავშვთა ფიზიკურ მდგომარეობაზე

გივი გოგოძე

ფიზიკური აღზრდისა სპორტის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბავშვთა სპორტით დაკავება აუცილებელია, ის არეგულირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების გამტარუნარიანობას. ჩვევაში გადასული სპორტული ვარჯიშები აძლიერებს და აკაუებს სხეულის ძვალ-კუნთოვან მასას და მთლიანობაში ჩონჩხს.

მცირე დოზით კარდიო ვარჯიშები ბავშვებში მათი ორგანიზმის შესაძლებლობას ამადლებენ. ამ ტიპის ვარჯიშთა შედეგად განვითარებული დადებითი ძვრები მნიშვნელოვნად განავითარებენ გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვითი და სისხლის ნერვოკუნთოვანი სისტემების ფუნქციურ მდგომარეობას და მთლიანობაში, დადებითად აისახებიან ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე.

### SUMMARY

## THE IMPACT OF CARDIO EXERCISES ON THE PHYSICAL CONDITION OF CHILDREN

GIVI GOGODZE

Assistant Professor at the University of Physical Education

Involving children in sports is essential, it regulates the permeability of the cardiovascular system and lungs. Getting used to sports exercises strengthens and tightens the musculoskeletal mass of the body and the skeleton as a whole. Small doses of cardio workouts in children increase their body capacity.

The positive shifts developed as a result of this type of exercise significantly develop the functional state of the cardiovascular, respiratory and blood-muscular systems, and as a whole, have a positive impact on the health of children and adolescents.

**Keywords:** Pediatric Cardiology, Early Exercise, Physical Development, Health, Fitness

## კორონავირუსული დაავადება 2019 (COVID-19): მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში-კლინიკური შემთხვევა

## CORONAVIRUS DISEASE 2019 (COVID-19): MULTISYSTEM INFLAMMATORY SYNDROME IN CHILDREN-CLINICAL CASE

თ. კუტუბიძე, ნ. გველესიანი, ე. უბერი, ე. ნახუტსრიშვილი  
თსსუ გ. ჯვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

T. KUTUBIDZE, N. GVELESIANI, E. UBER E. NAKHUTSRISHVIL  
TSMU G. Zhvania Academic Clinic of Pediatrics

კორონავირუსული დაავადება 2019 (COVID-19): მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში-კლინიკური შემთხვევა

### შესავალი

► 2019 წლის ბოლოს ახალი კორონავირუსი გამოვლინდა, როგორც პნევმონიის შემთხვევების მთავარი მიზეზი ეუკანში, ჩინეთის ქალაქ უუჰანის პროვინციაში

► ეპიდემია სწრაფად გავრცელდა მთელს ჩინეთში, რასაც მოჰყვა შემთხვევათა რიცხვის მატება გლობალური მასშტაბით

► COVID-19-ის გამომწვევი ვირუსი არის მწვავე რესპირატორული კორონავირუსული სინდრომი 2 (SARS-CoV-2)

– ადრე მას მოიხსენიებდნენ, როგორც 2019-nCoV

► ჯანმო-მ 2020 წლის 11 მარტს COVID-19 პანდემიად გამოაცხადა



▶ ბავშვებში COVID-19 ჩვეულებრივ მსუბუქად მიმდინარეობს

▶ კლინიკური გამოვლინებები შეიძლება განსხვავდებოდეს უფროსებისგან

▶ 2020 წლის აპრილში გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს აზრი, რომ ზოგჯერ დაავადების პრეზენტაცია ბავშვებში კავასაკის არასრული დაავადების (KD) ან ტოქსიკური შოკის სინდრომის მსგავსია

▶ მას შემდეგ, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დაავადების ანალოგიური მიმდინარეობის შესახებ სულ უფრო და უფრო მეტი ცნობა დაიბო

სინდრომი უწოდეს მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში (MIS-C)

▶ ასევე მოიხსენიება, როგორც

▶ პედიატრიული მულტისისტემური ანთებითი სინდრომი [PMIS]

- პედიატრიული ინფლამატორული მულტისისტემური სინდრომი [PIMS]

- პედიატრიული ჰიპერინფლამატორული სინდრომი

- პედიატრიული ჰიპერინფლამატორული შოკი

### ეპიდემიოლოგია

▶ მიუხედავად იმისა, რომ MIS-C-ის სიხშირე უცნობია, ბავშვებში ის COVID-19-ის იშვიათი გართულებაა

▶ MIS-C-ის საწყისი ცნობები გაერთიანებული საფეოლოდან 2020 წლის აპრილში გამოქვეყნდა

▶ მას შემდეგ დაფიქსირდა ანალოგიური ცნობები – ევროპა, კანადა და შეერთებული შტატები (უმეტესობა ნიუ-იორკში)

MIS-C მრავალი ბავშვი აკმაყოფილებს კავასაკის დაავადების სრულ ან არასრულ კრიტერიუმებს

▶ ამასთან, ეპიდემიოლოგია განსხვავდება კლასიკური KD-სგან

- MIS-C-ის უმეტესი შემთხვევა დაფიქსირდა მანამდე ჯანმრთელ მოზარდებში, შავკანიანებში მეტად

- კლასიკური KD ჩვეულებრივ ვლინდება მცირეწლოვან ბავშვებში და უფრო მეტი შემთხვევა ფიქსირდება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში

MIS-C-ის ეპიდემიოლოგია ასევე განსხვავდება მწვავედ მიმდინარე COVID-19-ისგან ბავშვებში, რომელიც ყველაზე მძიმედ მიმდინარეობს <1 წლის ასაკში და თანმხლები მძიმე პათოლოგიებისას

ბავშვების უმრავლესობა ადრე ჯანმრთელი იყო გაერთიანებული სამეფო (n = 37)

- საფრანგეთი (n = 35)

- ნიუ – იორკი (n = 33)

- ყველაზე გავრცელებული თანმხლები მდგომარეობა იყო სიმსუქნე და ასთმა

▶ ბიჭები შემთხვევათა დაახლოებით 60%-ს შეადგენდა

▶ საშუალო ასაკი იყო 9-დან 11 წლამდე (diapazoni 1-დან 17 წლამდე)

გაურკვეველია MIS-C განვითარების რისკის განსხვავება რასის მიხედვით, თუმცა შავკანიან ბავშვებთან არაპროპორციულად მაღალი ინსიდენსი იყო, ხოლო აზიელი ბავშვები თავდაპირველ მოხსენებებში მხოლოდ მცირე ჯგუფს წარმოადგენენ

გაერთიანებული სამეფოს, ნიუ – იორკის და იტალიის შრომების საფუძველზე, როგორც ჩანს, COVID-19 შემთხვევების პიკიდან რამდენიმე კვირაში დგება MIS-C-ის შემთხვევების პიკი

- მაგალითად, ლონდონში, COVID-19 შემთხვევების პიკი იყო აპრილის დასაწყისში, ხოლო MIS-C-ის შემთხვევების პიკი მოხდა მაისის დასაწყისში

▶ 3-4 კვირის დაგვიანებით გამოვლენა ემთხვევა შექცეული იმუნიტეტის ჩამოყალიბების დროს და სავარაუდოს ხდის, რომ MIS-C შეიძლება უფრო მეტად წარმოადგენდეს ვირუსის პოსტინფექციურ გართულებას, ვიდრე მწვავე ინფექციას

### პათოფიზიოლოგია

▶ MIS-C პათოფიზიოლოგია ბოლომდე შესწავლილი არაა

▶ გამოითქვა ვარაუდი, რომ სინდრომი გამოწვეულია ვირუსზე პათოლოგიური იმუნური პასუხით და ემსგავსება

- კავასაკის დაავადებას (KD)

- მაკროფაგების აქტივაციის სინდრომს (MAS)

- ციტოკინების განთავისუფლების სინდრომს მექანიზმი, რომლითაც SARS-CoV-2 იწვევს აბნორმულ იმუნურ პასუხს, უცნობია

▶ განიხილება პოსტინფექციური პროცესი, და ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ ბევრ დაავადებულ ბავშვს SARS-CoV-2 PCR აქვს უარყოფითი, მაგრამ აქვს დადებითი სეროლოგია

▶ ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში PCR დადებითია

### კლინიკური მანიფესტაცია

▶ კლინიკური პრეზენტაცია ძირითად შემთხვევებში იყო მსგავსი და ვლინდებოდა:

მდგრადი ცხელება (საშუალო ხანგრძლივობა 4 დღე)	100%
კუჭ-ნაწლავის სიმპტომები (მუცლის ტკივილი, ღებინება, დიარეა)	60-97%
გამონაყარი	50-60%
ნეიროლოგიკური სიმპტომები (თავის ტკივილი, ლეთარგია)	30-58%
რესპირატორული სიმპტომები	32-65%
კონიუნქტიტი	33%
ლორწოვანი გარსის ჩართვა	19%
ყელის ტკივილი	14%
შესიებული ხელები/ფეხები	8%

▶ განსაკუთრებით ხშირი და გამორჩეული იყო კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სიმპტომები (muclis ტკივილი, ღებინება, დიარეა), ზოგიერთ შემთხვევაში აპენდიციტის იმიტაციით

▶ ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნა ტერმინალური ილეიტი მუცლის ტომოგრაფიაზე და / ან კოლიტი კოლონოსკოპიით

▶ ბევრი პაციენტთან იყო 3-5 დღიანი ცხელება, შემდეგ კი განვითარდა თბილი შოკი

▶ შოკი ხშირად რეფრაქტორული იყო მოცულობით დატვირთვის მიმართ, საჭირო ხდებოდა ვაზოპრესორები და ზოგიერთ შემთხვევაში ჰემოდინამიკის მექანიკური მხარდაჭერა

▶ რესპირატორული სიმპტომებიც წამყვანი ნიშანი იშვიათ შემთხვევაში იყო, თუმცა ბევრი ბავშვი საჭიროებდა მექანიკურ ვენტილაციას გულ-სისხლძარღვთა სტაბილიზაციისთვის

▶ რესპირატორული სიმპტომები (taqipnoe, ქოშინი) უმეტესად მძიმე შოკს ახლდა, ხველა იშვიათი იყო

▶ ხელმისაწვდომი შემთხვევების ანალიზით კლინიკური ნიშნები მოიცავს



შოკი	60-80%
კავასაკის დაავადების (KD) სრული კრიტერიუმები	50-64%
მიოკარდიუმის დისფუნქცია (ექოკარდიოგრაფიით ან მომატებული დონე ტროპონინი/ BNP)	50-100%
სუნთქვის მწვავე უკმარისობა, რომელიც მოითხოვს არაინვაზიურ ან ინვაზიურ ვენტილაციას	52-68%
თირკმელების მწვავე დაზიანება (უმეტესი შემთხვევები საშუალო სიმძიმის იყო)	38-70%
სეროზიტი (მცირე პლევრალური, პერიკარდიული და ასციტური გამონაჟონი)	24-50%
ღვიძლის მწვავე უკმარისობა	21%

**DIAGNOSTIC CRITERIA FOR KAWASAKI DISEASE**

The diagnosis of Kawasaki disease requires the presence of fever lasting at least 5 days* without any other explanation combined with at least 4 of the 5 following criteria:
Bilateral bulbar conjunctival injection
Oral mucous membrane changes, including injected or fissured lips, injected pharynx, or strawberry tongue
Peripheral extremity changes, including erythema of palms or solconvalescent es, edema of hands or feet (acute phase), and periungual desquamation (phase)
Polymorphous rash
Cervical lymphadenopathy (at least 1 lymph node >1.5 cm in diameter)

\* If ≥4 of the above criteria are present, Kawasaki disease can be made on day 4 of illness.

**ლაბორატორიული მაჩვენებლები**

- ხელმისაწვდომი შემთხვევების სერიებში აღინიშნა ლაბორატორიული დარღვევები:
- მომატებულია ანთებითი მარკერები, მათ შორის:
- ▶ C- რეაქტიული ცილა – 90-95%
  - ▶ ერითროციტების დალექვის სიჩქარე – 80%
  - ▶ პროკალციტონინი
  - ▶ D – დიმერი – 80-95%
  - ▶ ფიბრინოგენი – 90%
  - ▶ ფერიტინი – 75%
  - ▶ ინტერლეიკინი-6 (IL-6)

**იმატებს კარდიალური მარკერები:**

- ტროპონინი – 60-90%
- BNP ან NT-pro-BNP – 90-100%

**ასევე ვლინდება**

- ▶ პიპოალბუმინემია – 73%
- ▶ ზომიერად მომატებული ღვიძლის ფერმენტები – 70%
- ▶ ლაქტატდეჰიდროგენაზას მომატება – 50-60%
- ▶ პიპერტრიგლიცერიდემია – 70%

**რადიოლოგიური დასკვნები**

**ექოკარდიოგრაფია**

- მარცხენა პარკუჭის (LV) დისფუნქცია (50-60%)
- კორონარული არტერიის (CA) პათოლოგიები
- ▶ დილატაცია
- ▶ ანევრიზმა
- მიტრალური სარქველის რეგურგიტაცია
- პერიკარდიული გამონაჟონი

CA-ის დარღვევები შეინიშნება პაციენტების დაახლოებით 20-50%

- ეს გაცილებით მაღალია, ვიდრე კლასიკურ KD-ში, რომელშიც CA-ს დაზიანების მაჩვენებელი დაახლოებით 10-15%

**გულმკერდის რენტგენოგრაფია**

- ▶ ძირითად შემთხვევებში-ნორმა
- იშვიათად
- ▶ პლევრის მცირე გამონაჟონი
- ▶ ფოკალური კონსოლიდაცია
- ▶ ატელექტაზი

გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია (CT) გულმკერდის რენტგენოგრაფიაზე არსებული ცვლილებების მსგავსია

▶ მხოლოდ რამოდენიმე პაციენტს ჰქონდა დაბურული მინის ნიშანი

მუცლის ვიზუალიზაცია – მუცლის ულტრაბგერითი ან CT კვლევის შედეგები მოიცავდა:

- ▶ თავისუფალი სითხე
- ▶ ასციტი
- ▶ ნაწლავისა და მეზენტერიული ანთება
- ტერმინალური ილეიტი
- მეზენტერიული აღენოპათია / აღენიტი
- პერიქოლექცისტური შეშუპება

კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება შემთხვევების განსაზღვრაში, განსხვავდება სხვადასხვა ჯანმრთელობის ორგანიზაციას შორის

დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) შემთხვევების განსაზღვრა მოითხოვს, რომ ბავშვს ჰქონდეს მნიშვნელოვანი სიმპტომატიკა, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) შემთხვევაში ეს მოთხოვნა არ არის

▶ ჯანმო-ს განმარტების უპირატესობა ის არის, რომ ის მულტისისტემური დაზიანების კლინიკურ ნიშნების მეტ დეტალს ითვალისწინებს

▶ საავარაუდოდ, ეს განმარტებები შეიცვლება, როცა უფრო მეტი ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი

<b>CDC case definition</b>
All 4 criteria must be met:
<b>1. Age &lt;21 years</b>
<b>2. Clinical presentation consistent with MIS-C, including all of the following:</b>
•Fever:
• Documented fever >38.0°C (100.4°F) for ≥24 hours
• or
• Report of subjective fever lasting ≥24 hours
•Laboratory evidence of inflammation
• Any of the following:
• Elevated CRP
• Elevated ESR
• Elevated fibrinogen
• Elevated procalcitonin
• Elevated D-dimer
• Elevated ferritin
• Elevated LDH
• Elevated IL-6 level
• Neutrophilia
• Lymphocytopenia
• Hypoalbuminemia
•Severe illness requiring hospitalization
•Multisystem involvement
• 2 or more organ systems involved:
• Cardiovascular (eg, shock, elevated troponin, elevated BNP, abnormal echocardiogram, arrhythmia)
• Respiratory (eg, pneumonia, ARDS, pulmonary embolism)
• Renal (eg, AKI, renal failure)
• Neurologic (eg, seizure, stroke, aseptic meningitis)
• Hematologic (eg, coagulopathy)
• Gastrointestinal (eg, elevated liver enzymes, diarrhea, ileus, gastrointestinal bleeding)
• Dermatologic (eg, erythroderma, mucositis, other rash)
<b>3. No alternative plausible diagnoses</b>
<b>4. Recent or current SARS-CoV-2 infection or exposure</b>
•Any of the following:
• Positive SARS-CoV-2 RT-PCR
• Positive serology
• Positive antigen test
• COVID-19 exposure within the 4 weeks prior to the onset of symptoms



WHO case definition
All 6 criteria must be met:
1. Age 0 to 19 years
2. Fever for ≥3 days
3. Clinical signs of multisystem involvement (at least 2 of the following):
• Rash, bilateral nonpurulent conjunctivitis, or mucocutaneous inflammation signs (oral, hands, or feet)
• Hypotension or shock
• Cardiac dysfunction, pericarditis, valvulitis, or coronary abnormalities (including echocardiographic findings or elevated troponin/BNP)
• Evidence of coagulopathy (prolonged PT or PTT; elevated D-dimer)
• Acute gastrointestinal symptoms (diarrhea, vomiting, or abdominal pain)
4. Elevated markers of inflammation (eg, ESR, CRP, or procalcitonin)
5. No other obvious microbial cause of inflammation, including bacterial sepsis and staphylococcal/streptococcal toxic shock syndromes
6. Evidence of SARS-CoV-2 infection
• Any of the following:
• Positive SARS-CoV-2 RT-PCR
• Positive serology
• Positive antigen test
• Contact with an individual with COVID-19

### დაავადების სპექტრი

► რაც უფრო მეტი ინფორმაცია გახდა ცნობილი ბავშვებში COVID-19 და MIS-C-ს შესახებ, გაირკვა, რომ დაავადების სპექტრი მერყეობს ზომიერიდან მძიმემდე

► COVID-19 მძლავრი იმუნური პასუხის გარეშე – ბავშვთა უმეტესობაში COVID-19 უსიმპტომოდ ან მსუბუქი სიმპტომებით მიმდინარეობს

► COVID-19-თან დაკავშირებული ფებრილური ანთებითი მდგომარეობა – ზოგიერთ ბავშვს შეიძლება ჰქონდეს მუდმივი ცხელება და მსუბუქი სიმპტომები (mag., თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე); შეიძლება აღინიშნოს ანთებითი მარკერების მომატება (gansakuTrebIT ფერიტინი), მაგრამ მულტისისტემური დაზიანების ნიშნები არ ვლინდება

► COVID-19 ასოცირებული KD – ზოგი ბავშვი აკმაყოფილებს სრულ ან არასრულ KD-ს კრიტერიუმებს და არ ვითარდება შოკის და მულტისისტემური დაზიანების ნიშნები

- გაურკვეველია, კორონარული არტერიის (CA) ანეორიზმის შემთხვევების ფარდობა COVID-19-თან დაკავშირებულ KD/ კლასიკურ KD; საჭიროა უფრო ღრმა კვლევა

► COVID-19 ასოცირებული MIS-C – MIS-C მქონე ბავშვებს აქვთ უფრო მძიმე პრეზენტაცია, მკვეთრად მომატებულია ანთებითი მარკერების დონე და ვლინდება მულტისისტემური დაზიანება. გულის დაზიანება და შოკი ხშირია

### ჯერჯერობით გაურკვეველია

- თითოეული ვარიანტის სიხშირე
- მსუბუქიდან მძიმე მდგომარეობაში პროგრესირების სიხშირე
- რისკის ფაქტორები

### შეფასება

► ლაბორატორიული ტესტირება – საეჭვო MIS-C მქონე ბავშვის საწყისი ლაბორატორიული შეფასება დამოკიდებულია მანიფესტაციაზე

ზომიერიდან მწვავე სიმპტომების მქონე ბავშვებისთვის

► სისხლის საერთო ანალიზი დიფერენციალით  
 ► C- რეაქტიული ცილის და ერითროციტების დალექვის სინქარე (სურვილისამებრ: პროკალციტონინი)

► ფერიტინის დონე  
 ► ლეიქმის ფუნქციური სინჯები და ლაქტატდეჰიდროგენაზა

► შრატში ელექტროლიტების განსაზღვრა და თირკმლის ფუნქციური ტესტები

► შარდის საერთო ანალიზი  
 ► კოაგულაციის კვლევები (proTrombinis დრო / საერთაშორისო ნორმალიზებული ფარდობა, აქტივირებული ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო, D- დიმერი, ფიბრინოგენი, ანტითრომბინ-3)

► ტროპონინი და კრეატინინაზა-MB  
 ► ტვინის ნატრიურული პეპტიდი (BNP), ან NT-pro-BNP

► ციტოკინის პანელი (თუ ეს შესაძლებელია)

ანთებითი მარკერები (C- რეაქტიული ცილა, ერითროციტების დალექვის სინქარე, პროკალციტონინი, ფერიტინი) იზომება შემოსვლის დროს და შემდეგ მონიტორინგისთვის

► იმ პაციენტებისთვის, რომელთაც აქვთ 3 დღის განმავლობაში სიცხე და მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები, მიზანშეწონილია თავდაპირველად უფრო შეზღუდული შეფასების გაკეთება

► მაგალითად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სისხლის საერთო ანალიზით და C- რეაქტიული ცილით დაწყება და შედეგების ინტერპრეტაციის შემდეგ დამატებითი ტესტები

### სხვა პათოგენების ტესტირება

სხვა ვირუსული და ბაქტერიული პათოგენების ტესტირება, რომლის ჩატარება რუტინულად საჭიროა არ არის და ინდივიდუალურად უნდა განიხილოს, მოიცავს

- სისხლის კულტურა
- შარდის კულტურა
- ფარინგეალური კულტურა
- განაგლის კულტურა
- ნაზოფარინგის ასპირატი ან ყელის ნაცხი ვირუსული პანელისთვის

► Epstein-Barr ვირუსული სეროლოგია და PCR

► ციტომეგალოვირუსის სეროლოგია და PCR

► Enterovirus PCR

► ადენოვირუსის PCR

► სხვა რესპირატორული პათოგენების (mag. რი-ნოვირუსის, გრიპის, რესპირაციულ-სინციტური ვირუსის) დადგენა ნაზოფარინგეალურ ნიმუშებში არ გამოიციხავს COVID-19-ს

გულის გამოკვლევა – ტროპონინის და BNP / NT-pro-BNP დონის განსაზღვრის გარდა, იმ პაციენტის კარდიოლოგიური შეფასება, რომელსაც აქვს საეჭვო MIS-C, მოიცავს 12-განხრიან ელექტროკარდიოგრაფიას (ekg) და ექოკარდიოგრაფიას

- ექოკარდიოგრაფია ასევე რეკომენდებულია დადასტურებული SARS-CoV-2 შემთხვევაში, რომელიც არ აკმაყოფილებს MIS-C ყველა კრიტერიუმს, მაგრამ არის შოკი ან ნიშნები, რომლებიც შეესაბამება კავასაკის



არასრულ ან სრულ დაავადებას (KD)

ბავშვებსა და მოზარდებში, მსუბუქი COVID-19 სისტემური ანთების ნიშნების გარეშე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღინიშნოს კორონარული არტერიის ცვლილება (CA) ან მიოკარდიტი

▶ ასეთ ბავშვებში ექოკარდიოგრაფია, ზოგადად, არ არის აუცილებელი, მაგრამ შეიძლება განიხილოს, თუ არსებობს სპეციფიკური კლინიკური ნიშანი

▶ MIS-C ბავშვებში, საბაზისო ეკგ შეიძლება იყოს არაპეციფიკური, თუმცა არითმია და გულის ბლოკადა აღწერილია

▶ საწყისი ექოკარდიოგრაფიით აღწერილი შედეგები შეიძლება მოიცავდეს CA დილატაციას, მარცხენა პარკუჭის (LV) სისტოლურ დისფუნქციას და პერიკარდიულ გამონაჟონს

- CA-ის პათოლოგიებმა შეიძლება პროგრესირება განიცადოს და ჩამოყალიბდეს ანევრიზმა, გიგანტური კორონარული ანევრიზმაც კი

**ექოკარდიოგრაფიული შეფასება**

▶ ექოკარდიოგრაფიული შეფასება მოიცავს შემდეგს:

▶ LV ზომა და სისტოლური ფუნქციის რაოდენობრივი შეფასება (LV საბოლოო დიასტოლური მოცულობა, განდევნის ფრაქცია)

▶ მარჯვენა პარკუჭის სისტოლური ფუნქციის თვისობრივი შეფასება

▶ CA-ის დილატაცია ან ანევრიზმა

▶ სარქველების ფუნქციის შეფასება

▶ პერიკარდიული გამონაჟონის არსებობა და მისი რაოდენობა

▶ შეფასება ინტრაკარდიული თრომბოზის ან / და ფილტვის არტერიის თრომბოზის, განსაკუთრებით აპიკალური თრომბის მიმე LV დისფუნქციის დროს

▶ LV დიასტოლური ფუნქცია (survilisamebr)

▶ CA-ს შეფასება ემყარება Z – ქულებს, იგივე კლასიფიკაციის სქემა გამოიყენება KD-ში

**CLASSIFICATION OF CORONARY ARTERY ABNORMALITIES IN CHILDREN WITH KAWASAKI DISEASE**

Classification	Size of coronary artery abnormality*
No coronary involvement	Z-score always <2 and no more than a 0.9 decrease in Z-score during follow-up
Dilation only	Z-score 2 to <2.5 or if initially <2, a ≥1 decrease in Z-score during follow-up <sup>†</sup>
Small aneurysm	Z-score ≥2.5 to <5
Medium aneurysm	Z-score of ≥5 to <10 and absolute dimension <8 mm
Large aneurysm or giant aneurysm	Z-score ≥10 or absolute dimension ≥8 mm

**შემდგომი ექოკარდიოგრაფიის**

**ჩატარების დრო**

▶ ექოკარდიოგრაფია ტარდება დიაგნოზის დასმის დროს და შემდეგ ინტერვალებით:

▶ თავდაპირველად აქვთ ნორმალური ფუნქცია და CA ნორმალური ზომები-მწვავე პერიოდის ჩამთავრებიდან 1-2 კვირის შემდეგ CA-ს ზომების გადასამოწმებლად

▶ CA დილატაცია / ანევრიზმა საწყის ექოკარდიოგრაფიაზე, ექოკარდიოგრაფია მეორდება ორ-სამ დღეში ერთხელ, სანამ CA ზომა არ გახდება სტაბილური და შემდეგ დაახლოებით კვირაში ერთხელ

▶ სისტოლური დისფუნქციის / მიოკარდიტის და ნორმალური CA-ების მქონე პაციენტებისთვის ექოკარდიოგრაფია მეორდება კლინიკური ჩვენების მიხედვით და ყოველ კვლევაზე განმეორებითი ხდება CA-ების შესწავლა

▶ მწვავე ფაზაში CA დაზიანება ან სისტოლური დისფუნქციის / მიოკარდიტის ნიშნები, გულის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია შეიძლება განიხილოს მწვავე დაავადებიდან დაახლოებით 1-3 თვეში, პარკუჭის ფუნქციის შესამოწმებლად და შეშუპების, დიფუზური ფიბროზის და ნაწიბურის, მიოკარდიუმის დილატაციის შესაფასებლად

**დიფერენციული დიაგნოზი**

▶ MIS-C-ის სიმპტომების მქონე ბავშვებში ვრცელი დიფერენციული დიაგნოზია საჭირო და მოიცავს ინფექციურ და ანთებით პროცესებს

**ბაქტერიული სეფსისი**

▶ ცხელება, შოკი, მომატებული ინფექციური მარკერები

▶ ზომიერ-მიმე MIS-C-ზე ეჭვის არსებობისას უნდა დაითესოს სისხლი და შედეგებამდე დაწვეულ უნდა იქნას ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია

▶ ზოგიერთი კლინიკური მახასიათებელი მნიშვნელოვნად ეხმარება დიფერენცირების პროცესს, მგ, კორონარული არტერიების მხრივ ცვლილებები არ ვლინდება ბაქტერიული სეფსისის დროს

▶ საბოლოოდ, განსხვავებისთვის მაინც საჭიროა მიკრობიოლოგიური კვლევები (ბაქტერიული კულტურა, SARS-CoV-2 ტესტირება)

**კავასაკის დაავადება**

▶ MIS-C-ის ზოგიერთი შემთხვევა ემსგავსება სრული ან არასრული კავასაკის დაავადების კრიტერიუმებს

▶ არსებობს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები, მგ, MIS-C მეტწილად გავლენას ახდენს უფროს ასაკის ბავშვებსა და მოზარდებზე, მაშინ როცა კლასიკური კავასაკის დაავადება ვლინდება ჩვილებისა და უმცროსი ასაკის ბავშვებში

▶ კორონარული არტერიების ცვლილებების და მიოკარდიუმის დისფუნქციის რისკი MIS-C-ის დროს შესაძლოა იყოს უფრო მაღალი კლასიკურ კავასაკის დაავადებასთან შედარებით

▶ კავასაკის დაავადების შოკის სინდრომი კარგადაა აღწერილი, თუმცა არ არის ხშირი დაავადების კლასიკური ფორმის მქონე პოპულაციაში, მაშინ როცა MIS-C-ის დროს შეიძლება სწორედ ამ გზით მოხდეს მანიფესტაცია

▶ SARS-CoV-2 ტესტზე დადებით პაციენტებში (ან დადასტურებულ COVID-19-თან კონტაქტი) კრიტერიუმების სრულად ან ნაწილობრივად თანხვედრისას უნდა იქნას დაწვეული კავასაკის დაავადების სტანდარტული მკურნალობა

**დიფერენციული დიაგნოზი**

▶ ტოქსიკური შოკის სინდრომი – სტაფილოკოკური და სტრეპტოკოკული შოკის სინდრომების ემსგავსება MIS-C-ს, ამიტომ საჭიროა მიკრობიოლოგიური კვლევები



▶ აპენდიციტი – MIS-C-ის ცხელებით, ღებინებით და მუცლის ტკივილით მანიფესტირების დროს შეიძლება საჭირო გახდეს ულტრაბგერითი კვლევა

▶ სხვა ვირუსული ინფექციები – სხვადასხვა ვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელია მულტი-სისტემური დაზიანებით ან მიოკარდიტით გამოვლენა, მგ, ეპსტეინ-ბარის ვირუსი, ციტომეგალოვირუსი, ადენოვირუსი, ენტეროვირუსი. ისინი იმუნოდეფიციტურ პაციენტებში მძიმე მულტისისტემურ პასუხს იწვევენ. საჭიროა პჯრ ტესტირება, რათა მოხდეს მათი განსხვავება MIS-C-ისგან

### ჰემოზაგოციტური ლიმფოპროლიფერაციული (HLH)/მაკროფაგების აქტივაციის სინდრომი (MAS)

▶ არის აგრესიული და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, რომელთაც აქვთ MIS-C-ის მსგავსი ნიშნები

▶ ამ სინდრომების დროს ხდება იმუნური სისტემის აქტივაცია მანამდე ჯანმრთელ ბავშვებში (ხშირად ტრიგერი ინფექციას) და თანმხლები რემატოლოგიური მდგომარეობების დროს

▶ ბავშვების უმრავლესობის ზოგადი მდგომარეობა მწვავეა – მულტიორგანული დაზიანება, ციტოპენია, ღვიძლის ფუნქციის დარღვევები, ნევროლოგიური სიმპტომები

▶ გული და გასტროინტესტინური სისტემა ნაკლებადაა ჩართული, უფრო გამოხატულია ნევროლოგიური სიმპტომები

▶ ამ სინდრომების დიაგნოსტიკა მოითხოვს სპეციალიზებულ იმუნოლოგიურ ტესტირებას

### სისტემური წითელი გულურა

▶ შეიძლება მანიფესტირდეს ფულმინანტური მულტისისტემური დაზიანების სახით

▶ ასეთ პაციენტებს მეტწილად აღენიშნებათ, თირკმლის და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რაც არაა MIS-C-ს ჩვეული მახასიათებელი

▶ ფულმინანტური ფორმების მიუხედავად, უმეტესობა სიმპტომების მწვავე გამოვლენამდე აღწერს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დადლილობას და შეუძლოდ ყოფნას. MIS-C-ის დროს ბავშვები არიან კარგად ცხელების მწვავე გამოვლინებამდე

### მასკულიტი



▶ სხვადასხვა ვასკულიტი შეიძლება გამოვლინდეს ცხელებით, გამონაყრით, მომატებული ანთებითი მარკერებით

▶ COVID-19-თან ასოცირებული დაავადების დროს ნაწახი გამონაყარი ზოგჯერ

ემსგავსება ვასკულიტს (ე. წ. პერნიციოზული (ნ-პიბლაინ) სურათი წარხიდულ ზედაპირებზე, ზოგჯერ უწოდებენ “კოვიდის ფეხის თითებს”, მაგრამ ეს არ არის ვასკულიტი

### მართვა

▶ ზომიერი-მძიმე სიმპტომების არსებობისას ბავშვები უნდა მოთავსდნენ კლინიკაში

▶ განყოფილებაზე უნდა გაკეთდეს არჩევანი სიმპტომების სიმძიმის მიხედვით, მგ, არასტაბილური ჰემოდინამიკის (არითმია, შოკი), მნიშვნელოვანი რესპირატორული დარღვევის დროს საჭიროა ინტენსიური თერაპიის განყოფილება

▶ მსუბუქი სიმპტომების შემთხვევაში პაციენტების მართვა შესაძლებელია ამბულატორიულად, რაც გულისხმობს პოსპიტალიზაციას დაავადების პროგრესირების შემთხვევაში. კრიტიკულია ასეთი პაციენტების ინსტრუქტაჟი

### MIS-C – მულტისისტემური დაავადება

▶ დაავადების ხასიათიდან გამომდინარე საჭიროა სხვადასხვა სპეციალისტის კოორდინირებული მუშაობა:

- ▶ ბავშვთა ინფექციონისტები
- ▶ ბავშვთა რემატოლოგები
- ▶ ბავშვთა კარდიოლოგები
- ▶ ბავშვთა რენიმატოლოგები
- ▶ ბავშვთა პედატოლოგები

### ანტიმიკრობული თერაპია

▶ MIS-C-ს სეპტიკურ შოკთან და ტოქსიკურ შოკთან მსგავსების გამო მძიმე მულტისისტემური გამოვლინებისას დაწყებულ უნდა იქნას ემპირიული ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები კულტურების პასუხამდე

- ▶ საწყისი თერაპიაა ცეფტრიაქსონი + ვანკომიცინი
- ▶ ცეფტაროლინი + პიპერაცილინ-ტაზობაქტამი ალტერნატიული ვარიანტია, განსაკუთრებით თირკმლის მწვავე დაზიანების დროს
- ▶ კლინდამიცილის დამატება საჭირო ტოქსინასოცირებული დაავადებისას (მგ, ერთროდერმა)
- ▶ ზოგადი მდგომარეობის სტაბილიზების შემდეგ უნდა შეწყდეს ანტიბიოტიკოთერაპია, როგორც კი გამოირიცხება ბაქტერიული ინფექცია

### ანტივირუსული თერაპია

▶ MIS-C-ის მართვაში SARS-CoV-2 ანტივირუსული თერაპიის (mგ, რემდესივირი) როლი ჯერ გაურკვეველია

- ▶ ზოგი პაციენტი პჯრ-უარყოფითია და MIS-C შეიძლება გამოვლინდეს პოსტინფექციური გართულების და არა ინფექციის აქტიური ფაზის სახით
- ▶ თუმცა, ზოგიერთი პაციენტი პჯრ-დადებითია და აქვს აქტიური ინფექცია
- ▶ ანტივირუსულ თერაპიას აქვს პოტენციალი გავლენა მოახდინოს დაავადების მიმდინარეობაზე, მაგრამ ეს არ ხდება ყველა შემთხვევაში
- ▶ ანტივირუსული აგენტების გამოყენება მძიმე MIS-C გამოვლინებების მქონე ბავშვებში შეხლულუღაა, საჭიროა ინფექციონისტის ჩართვა

### დამატებითი თერაპია

#### პრეზენტაციის მიხედვით

- ▶ ეს დამოკიდებულია დაავადების გამოვლინებაზე
- ▶ სხვადასხვა გამოვლინება შეიძლება ერთდროულად, მგ, პაციენტს „თბილ“ შოკთან ასოცირებული კავასაკის დაავადების სიმპტომებით უნდა ჩაუტარდეს კავასაკის დაავადების მკურნალობა (ი/ვ იმუნოგლობულინი და ასპირინი) და შესაბამისი ჰემოდინა-



მიკური დახმარება(მოცულობის გაზრდა და ეპინეფრინი)

### შოკი

- ▶ დაავადების შოკით დაწყების შემთხვევაშისაჭიროა შესაბამისი პროტოკოლის დაცვა
- ▶ ზოგ შემთხვევაში, „თბილი“ შოკით გამოვლენილი MIS-C-ის დროს მოცულობის გაზრდა უშედეგო იყო. ეპინეფრინი პირველი რიგის ვაზოაქტიური აგენტია ბავშვებში „თბილი“ შოკის მართვისთვის
- ▶ მნიშვნელოვანი პარკუჭოვანი დისფუნქციის გამოვლინებისას შეიძლება საჭირო გახდეს მილრინონი

### კავასაკის დაავადების მახასიათებლები

- ▶ არასრული ან სრული კავასაკის დაავადების ნიშნების დროს უნდა ჩატარდეს სტანდარული თერაპია: ი/ვ იმუნოგლობულინი, ასპირინი და გლუკოკორტიკოიდები ანთების ნიშნების და კორონარული არტერიის დილატაცია/ანევრიზმის დროს

### მიოკარდიუმის დისფუნქცია

- ▶ დაავადების მწვავე ანთებითი ფაზის დროს შეიძლება გამოვლინდეს არითმია და არასტაბილური ჰემოდინამია
- ▶ სერიოზული ექოკარდიოგრაფიული კვლევა, ტვინის ნატრიურული პეპტიდი და ტროპონინი – მნიშვნელოვნად ეხმარება მართვას
- ▶ მართვა ეფუძნება დამხმარე თერაპიას-supportive care, რათა შენარჩუნებულ იქნას სტაბილური ჰემოდინამია და ადეკვატური სისტემური პერფუზია. ი/ვ იმუნოგლობულინი ხშირად გამოიყენება მიოკარდიუმის კლინიკური ნიშნების არსებობისას
- ▶ მუდმივი კარდიომონიტორინგი ესენციურია არითმიის დროულად ამოცნობის და მკურნალობისთვის
- ▶ მნიშვნელოვანი პარკუჭოვანი დისფუნქციის დროს საჭიროა ი/ვ დიურეტიკები და ინოტროპული აგენტები, მგ, მილრინონი, დოპამინი, დობუტამინი
- ▶ ფულმინანტურ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს მექანიკური ჰემოდინამიკური დახმარება support ექსტრაკორპორული მემბრანული ოქსიგენაციის სახით(ECMO) ან ventricular assist device

### თრომბოზული გართულებები

- ▶ MIS-C – მგ, კავასაკის დაავადების დროს დიდი ან გვიანტური კორონარული არტერიის ანევრიზმის არსებობისას არის მიოკარდიუმის ინფარქტის რისკი, არსებობს ვენური თრომბოემბოლიის რისკი, მგ, პულმონური ემბოლია, კოვიდთან ასოცირებული პიპერკოაგულაციის გამო
- ▶ კავასაკის დაავადების დროს – ანტითრომბოციტური თერაპია, მინიმუმ დაბალი დოზით ასპირინი. დამატებითი ანტითრომბოციტული ან ანტიკოაგულაციური თერაპია კორონარული არტერიის დილატაციის ხარისხის მიხედვით
- ▶ მარცხენა პარკუჭის დისფუნქციისას შეიძლება იყოს საჭირო სისტემური ანტიკოაგულაცია
- ▶ კოვიდთან ასოცირებული MIS-C ვენური თრომბოემბოლიის მნიშვნელოვანი რისკფაქტორია
- ▶ ინდივიდუალურია მისი პრევენციის მიზნით მკურნალობის დაწყება და უფრო მიმართავენ უფრო-

სი ასაკის ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში, რომლებიც ჰოსპიტალიზებული არიან ზომიერი-მძიმე MIS-C-ის სიმპტომებით, როცა სისხლდენის რისკი დაბალია. ამ დროს დაბალმოლეკულური ჰეპარინია არჩევის პრეპარატი

### ღამატივითი იმუნოგამოღულირებაელი თერაპია

- ▶ გლუკოკორტიკოიდების, ინტერლეიკინ-1-ის(ანაკინრა), ინტერლეიკინ-6 ინჰიბიტორის (tocilizumabi), გამოჯანმრთელებული პაციენტების კონვალესცენტური პლაზმის გამოყენების რისკი და სარგებელი ჯერჯერობით გაურკვეველია
- ▶ საჭიროა ინფექციონისტის და რევმატოლოგის ჩართვა
- ▶ გასათვალისწინებელია დაავადების მიმდინარეობის სიმძიმე, ანთებითი მარკერები და ინფექციის აქტიური ფაზა

### გლუკოკორტიკოიდები

- ▶ საჭიროა კავასაკის დაავადების სიმპტომების არსებობისას, როცა პაციენტს აქვს კორონარული არტერიის დილატაცია/ანევრიზმა ან ი/ვ იმუნოგლობულინის მერე პერსისტენტული ცხელება
- ▶ შესაძლოა საჭირო გახდეს ციტოკინების გამოთავისუფლების სინდრომის, ე. წ ციტოკინების შტორმის დროს – პერსისტენტული ცხელება, მნიშვნელოვნად მომატებული ანთებითი მარკერები(ჩრევაქტიული ცილა, D-დიმერი, ფერიტინი), მომატებული პროინფლამატორული ციტოკინები(IL-6)
- ▶ რეფრაქტურობის დროს ალტერნატიული საშუალებებია: ანაკინრა, ცანაკინუმაბი, ტოცილიზუმაბი

### კლინიკური შემთხვევა

- ▶ პაციენტი ი. ს, 8 წლის, კლინიკაში შემოვიდა 22/11/20 ავადობის ერთ კვირიანი ანამნეზით
- ▶ დაავადება დაეწყო გულისრევით, ღებინებით, ცხელებით, აღნიშნულს დაერთო დიარეა, გამოიხატა ადინამია
- ▶ ბინაზე უტარდებოდა მკურნალობა სიმპტომური საშუალებებით
- ▶ პაციენტს დინამიკაში გამოეხატა მთელ სხეულზე ერთეულზე გამონაყარი, არაბაქტერიული კონიუქტივიტი, შეშუპება კიდურების არეში, ტუნებზე ნახეთქები

### ანამნეზი

- ▶ ანამნეზური მონაცემებიდან განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის, რომ პაციენტის მშობლებს ა. წ 15-16 ოქტომბერს დაუდასტურად COVID-19, მკურნალობდნენ სტაციონარში
- ▶ ამავე პერიოდში ჩვენს პაციენტს (mSoblis გადმოცემით) ჰქონდა ტემპერატურის და აბლომინალგიის ერთი ეპიზოდი

### ობიექტური მონაცემები

- ▶ კლინიკაში შემოსვლისას ყურადღებას იპყრობდა
- ▶ შეუპოვარი ცხელება
- მკვეთრი ადინამია
- მრავლობითი მაკულური გამოყარი სხეულზე (გულმკედლის წინა ზედაპირი, ზურგი, კიდურები)



- ერთემული გამონაყარი სახეზე
- ბილატერალური კონიუნქტივიტი გამონადენის გარეშე
- ზომიერი ბილატერალური ცერვიკალური ლიმფადენოპათია
- ტუჩები მშრალი-ნახეთქებით
- ენა ჰიპერემიული
- ჰეპატოსპლენომეგალია
- ნაწლავური დისფუნქცია-ნაწლავთა გახშირებული მოქმედება-5-6-ჯერ დღეში სითხის შემცველი განავლოვანი მასებით

### პარაკლინიკური მონაცემები

► პერიფერიული სისხლის ანალიზი-ნეიტროფილოზი ფორმულის მარცხნივ გადახრით

- მაღალი ედსი
- მაღალი „C“ რეაქტიული ცილა
- მომატებული პროკალციტონინი
- კოაგულოგრამაზე და D-დიმერის მანვენებლეთ-ტენდენცია ჰიპერკოაგულაციისკენ
- გულმკერდის რენტგენოგრაფიული კვლევა-პათოლოგიური ცვლილებების გარეშე
- შარდის საერთო ანალიზი-კლინიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე
- მუცლის ღრუს ულტრაბგერითი კვლევა-მცირე მენჯში თავისუფალი სითხე
- ექოკარდიოსკოპიური კვლევა-პერიკარდიუმის ღრუში გამოჩევილი
- (SARS-CoV-2) IgG ანტისხეულები სისხლში (CLIA) მეთოდით-დადებითი

პაციენტი:

ასაკი: 8 წლის, განყოფილება

ბარათის № 6943.20

თარიღი: 22/11/2020 დრო დანყ: - დასრ.

სისხლის საერთო ანალიზი		შედეგი Result	ერთეული Unit	ნორმის მდგომარეობა* Normal ranges*		
WBC	ლეიკოციტები	<b>9,43</b>	10 <sup>9</sup> /l	5.0-12.0		
RBC	ერიტროციტები	<b>4,29</b>	10 <sup>12</sup> /l	4.0-5.3		
HGB	ჰემოგლობინი	<b>11,8</b>	g/dL	11.7-14.1		
HCT	ჰემატოკრიტი	<b>32,4</b>	%	35.0-55.0		
MCV	ერიტროციტის საშუალო მოცულობა	<b>75,5</b>	fL	75-86		
MCH	ჰემოგლობინის საშუალო შემცველობა	<b>27,5</b>	pg	27.0-29.0		
MCHC	ჰემოგლობინის საშუალო კონცენტრაცია საერთო ერიტროციტულ მასაში	<b>36,4</b>	g/dL	33.9-34.8		
RDW	ერიტროციტების განაწილების სავსებები	<b>12,9</b>		12.0-15.0		
PLT	თრომბოციტები	<b>78</b>	10 <sup>9</sup> /l	160-420		
MPV	თრომბოციტების საშუალო მოცულობა	<b>10,1</b>	fL	7.3-10.0		
Bands	ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები	<b>14</b>		1-5		
NEUT	სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილები	%	%	40-55		
		#	10 <sup>9</sup> /L	2.25-7.2		
LYM	ლიმფოციტი	%	%	28-52		
		#	10 <sup>9</sup> /L	1.0-4.8		
MON	მონოციტები	%	%	4.0-10.0		
		#	10 <sup>9</sup> /L	0.2-1.2		
EOS	ეოზინოფილები	%	%	1-5		
		#	10 <sup>9</sup> /L	0.05-0.6		
BAS	ბაზოფილები	%	%	0-1		
		#	10 <sup>9</sup> /L	0-2		
Plas.cells	პლაზმური უჯრედები	<b>1</b>		0-05		
ESR	ერიტროციტების დალექვის სიჩქარე	<b>6</b>	mm/h	<13		
C- რეაქტიული ცილა CRP				183,5	mg/l	<6

### პროკალციტონინი

დასახელება	შედეგი	დასაშვები ნორმები	შედეგების ინტერპრეტაცია
PCT-Q პროკალციტონინი Procalcitonin		<0,5 µg/L	ლოკალური ბაქტერიული ინფექციის შესაძლებლობა სისტემური ინფექცია (სეფსისი) გამორიცხულია
		≥0.5 - <2 µg/L	სისტემური ინფექცია (სეფსისი) დასაშვებია სეფსისის განვითარების საშუალო რისკი
	2	≥2 - <10 µg/L	სისტემური ინფექცია (სეფსისი) სეფსისის პროგრესირების მაღალი რისკი
		≥10 µg/L	სეფსისი, სეპტიური შოკი





**მუცლის ღრუს ორგანოების ექოსკოპია (ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, პანკრეასი, ელენთა, თირკმელი)**

პაციენტი: იოანე სიხარულიძე,  
ასაკი: 8 წლის

ბარათის № 6943.20  
თარიღი: 25/11/2020 დრო დაწ. 12:20 – დას. 12:26

ღვიძლი მოჩანს მკაფიო, მახვილი კიდეებით, ნორმალური ექოგენობითა და ერთგვაროვანი სტრუქტურით. ღვიძლის მარჯვენა წილის კრანოკაუდალური ზომაა 130 მმ. ამ ასაკში, პაციენტის ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ≈ 110 მმ-ს. ღვიძლის მარჯვენა ქვედა კიდე სცდება მარჯვენა თირკმლის ქვედა პოლუსს ქვემოთ - ჰეპატომეგალია. ღვიძლშიდა სისხლძარღვები მოჩანს გლუვი, მკაფიო კედლებით, ფერადი დოპლეროგრაფიით მათში სისხლის ნაკადი ნორმალურია.

ნაღვლის ბუშტის ღრუში ერთგვაროვანი, ანექოგენური შიგთავსი კონკრემენტების და ნალექის გარეშე. პანკრეასი ისახება არამკაფიო, სადა კონტურით, ნორმალური ექოგენობითა და ერთგვაროვანი სტრუქტურით. ელენთა ისახება მკაფიო, სადა კონტურით, ნორმალური ექოგენობითა და ერთგვაროვანი სტრუქტურით, ზომით 120 X 55 მმ. ელენთის სიგრძე პაციენტის ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 100 მმ-ს. სპლენომეგალია. ფერადი დოპლეროგრაფიით მასში სისხლის ნაკადი ნორმალურია.

თირკმელების და შარდის ბუშტის ექოანატომია ნორმალურია. თირკმელები მოჩანს მკაფიო, სადა კონტურით, კარგად გამოხატული სხვაობით პარენქიმასა და სინუს შორის. ფერადი დოპლეროგრაფიით მათში სისხლის ნაკადი ნორმალურია.

მუცლის ქვედა კვადრანტებსა და მცირე მენჯში ისახება ერთგვაროვანი, თავისუფალი სითხე. მცირე მენჯში სითხის ბილუული ნაწილის მოცულობა შეადგენს 220 - 250 მლ-ს.

**D დიმერის განსაზღვრა**

დასახელება	შედეგი	ერთეული	დასაშვები ნორმა
D-დიმერი D-Dimer	3,8	µg/ml	<0.5
D-დიმერი D-Dimer		µg/ml	ორსულებისთვის <0.5 I ტრ - <1,0 II ტრ - <1,3 III ტრ - <2,2

გამოკვლევა შესრულებულია კომპანია TOSOH(იაპონია) ავტომატურ ანალიზატორზე AIA-360

**კოაგულოგრამა**

დასახელება	შედეგი	ასაკობრივი ჯგუფი	ნორმა
აქტიური ნაწილობრივი თრომბოლასინური დრო	APTT	24,8	ახ/შობილები 1-10 წელი <43 წმ 11-16 წელი >38 წმ
პროთრომბინის დრო	PT	12,4	1 თვე-1 წელი 14.1-19.4 წმ 1-5 წელი 14.1-17.1 წმ 6-16 წელი 14.1-15.36 წმ
პროთრომბინის ინდექსი	PI	102	1 თვე-1 წელი 52-100% 1-5 წელი 64-100% 6-10 წელი 76-100% 11-16 წელი 77-100%
საერთაშორისო ნორმალიზებული ფარდობა	INR	0,94	1 თვე-1 წელი 1.0-1.5 1-5 წელი 1.0-1.3 6-10 წელი 1.0-1.1 11-16 წელი 1.0-1.1
ფიბრინოგენის კონცენტრაცია	FIBR	5,2	ახ/შობილები 1.25-3.0 გ/ლ 1 თვე-1 წელი 0.82-3.83 გ/ლ 1-5 წელი 1.62-4.01 გ/ლ 6-10 წელი 1.99-4.09 გ/ლ 11-16 წელი 2.12-4.33 გ/ლ



## ანალიზი

▶ არსებული ანამნეზური, კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე მდგომარეობა შეფასდა, როგორც: COVID-19 ასოცირებული ბავშვთა მულტისისტემური ანთებითი სინდრომი: MIS-C  
 - იმუნური დისრეგულაციის გამო ვირუსთან ექსპოზიციიდან 2-3 კვირის შემდეგ  
 - არასრული კავასაკის დაავადება

▶ M35. 8 Other specified systemic involvement of connective tissue (principal diagnosis) for the MIS-C

WHO case definition
All 6 criteria must be met:
1.Age 0 to 19 years
2.Fever for ≥3 days
3.Clinical signs of multisystem involvement (at least 2 of the following):
•Rash, bilateral nonpurulent conjunctivitis, or mucocutaneous inflammation signs (oral, hands, or feet)
•Hypotension or shock
•Cardiac dysfunction, pericarditis, valvulitis, or coronary abnormalities (including echocardiographic findings or elevated troponin/BNP)
•Evidence of coagulopathy (prolonged PT or PTT; elevated D-dimer)
•Acute gastrointestinal symptoms (diarrhea, vomiting, or abdominal pain)
4.Elevated markers of inflammation (eg, ESR, CRP, or procalcitonin)
5.No other obvious microbial cause of inflammation, including bacterial sepsis and staphylococcal/streptococcal toxic shock syndromes
6.Evidence of SARS-CoV-2 infection
•Any of the following:
• Positive SARS-CoV-2 RT-PCR
• Positive serology
• Positive antigen test
• Contact with an individual with COVID-19

## მკურნალობა

პროტოკოლის მიხედვით:

ი/ვ კორტიკოსტეროიდი

1. ანტიბაქტერიული თერაპია
2. ინფუზური თერაპია
3. ანტიკოაგულაციური თერაპია (კოაგულოგრამის კონტროლით)

## ბამოსავალი

▶ პაციენტი გაუმჯობესებული კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებით სტაციონარიზაციის მე-12 დღეს გაეწერა ბინაზე

▶ რეკომენდაცია – ბავშვთა კარდიოლოგის მონიტორინგი

## პროგნოზი

▶ ჯერჯერობით უცნობია, რადგან დაავადება ახალი და ჯერ კიდევ ვითარდება

▶ კავასაკის დაავადებასა და ტოქსიკური შოკის სინდრომთან მსგავსი ნიშნების გარდა ასევე გამოვლინდა, რომ MIS-C-ის მიმდინარეობა შეიძლება იყოს მეტად მძიმე და პაციენტების უმრავლესობას შეიძლება დასჭირდეს ინტენსიური თერაპია

▶ პაციენტების უმრავლესობა გადარჩა, თუმცა დაფიქსირდა სიკვდილობაც, დაახლოებით 230 შემთხვევიდან 5 დასრულდა ლეტალურად

## SUMMARY

### CORONAVIRUS DISEASE 2019 (COVID-19): MULTISYSTEM INFLAMMATORY SYNDROME IN CHILDREN-CLINICAL CASE

T. KUTUBIDZE, N. GVELESIANI, E. UBER E. NAKHUTSRISHVIL  
 TSMU G Zhvania Academic Clinic of Pediatrics

Coronavirus disease 2019 (COVID-19) in children is usually mild. However, in rare cases, children can be severely affected, and clinical manifestations may differ from adults. In April of 2020, reports emerged of a presentation in children similar to Kawasaki disease (KD) or toxic shock syndrome. Since then, there have been increasing reports of similarly affected children around the world. The syndrome has been termed multisystem inflammatory syndrome in children (MIS-C). The clinical presentation of MIS-C may include persistent fevers, gastrointestinal symptoms (abdominal pain, vomiting, diarrhea), rash, and conjunctivitis. Patients typically present with three to five days of fever, followed by development of shock. Laboratory findings include lymphocytopenia, elevated inflammatory markers (C-reactive protein, erythrocyte sedimentation rate, D-dimer), and elevated cardiac markers (troponin, brain natriuretic peptide [BNP]). Case definitions for MIS-C are summarized in the table (table 2). There appears to be a spectrum of disease. The initial evaluation of a child with suspected MIS-C generally includes the following, though a more limited evaluation may be appropriate for children with mild presentations:

Laboratory testing:

- Complete blood cell count with differential
- C-reactive protein and erythrocyte sedimentation rate (optional: procalcitonin)
- Ferritin level
- Liver function tests and lactate dehydrogenase
- Serum electrolytes and renal function tests
- Coagulation studies (activated partial thromboplastin time, international normalized ratio/prothrombin time, D-dimer, fibrinogen, antithrombin-3)
- Troponin



- BNP
- Blood culture
- Cytokine panel (if available)

Testing for severe acute respiratory syndrome coronavirus 2 (SARS-CoV-2), including both serology and reverse transcription polymerase chain reaction (RT-PCR).

Testing for other viral and bacterial pathogens

- Cardiac evaluation including 12-lead electrocardiogram (ECG) and echocardiography

Management of MIS-C includes the following:

- Multidisciplinary care – By definition, MIS-C is a multisystem disease, and care for affected children requires coordination of many different specialties. Infectious disease and rheumatology specialists should be consulted early. Pediatric cardiologists should be consulted in patients with myocardial dysfunction or signs of KD.

- Children presenting with shock should be resuscitated according to standard protocols.

- Empiric antibiotic therapy is appropriate for patients presenting with severe multisystem involvement and particularly those with shock.

- Use of antiviral therapies (eg, remdesivir) is generally limited to children with severe MIS-C manifestations and should be guided by an infectious disease specialist, preferably in the context of a clinical trial.

- Patients who meet criteria for incomplete or complete KD (table 1) should receive standard therapies for KD, including intravenous immunoglobulin (IVIG), aspirin, and, in if there are persistent signs of inflammation or coronary artery (CA) involvement, glucocorticoids.

- Management of myocardial dysfunction focuses on supportive care to maintain hemodynamic stability and ensure adequate systemic perfusion. IVIG is often used, though conclusive evidence of benefit is lacking. Continuous cardiac monitoring is essential so that arrhythmias are promptly detected and treated.

- Patients with MIS-C are at risk of experiencing thrombotic complications, and antithrombotic therapy is warranted in many cases (eg, low-dose aspirin in patients with KD, systemic anticoagulation in patients with moderate to severe ventricular dysfunction).

- The benefits and risks of adjunctive therapies (glucocorticoids, IL-1 inhibitors [eg, anakinra, canakinumab], IL-6 inhibitors [eg, tocilizumab], convalescent plasma from recovered COVID-19 patients) are uncertain. Consultation with pediatric infectious disease and rheumatology specialists is advised.

- Children with cardiac dysfunction or CA abnormalities should have follow-up with cardiology after discharge, with serial echocardiography to assess for CA aneurysms.

The prognosis of MIS-C is uncertain, given that it is a new clinical entity and our understanding of the disease is still evolving. Most children survive, though deaths have been reported.

## REFERENCES

1. World Health Organization. Director-General's remarks at the media briefing on 2019-nCoV on 11 February 2020. <https://www.who.int/dg/detail/who-director-general-s-remarks-at-the-media-briefing-on-2019-ncov-on-11-february-2020> (Accessed on February 12, 2020).

2. World Health Organization (WHO). WHO Director-General's opening remarks at the media briefing on COVID-19 — 11 March 2020. Available at: <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020> (Accessed on May 01, 2020).

3. Riphagen S, Gomez X, Gonzalez-Martinez C, et al. Hyperinflammatory shock in children during COVID-19 pandemic. *Lancet* 2020.

4. Paediatric Intensive Care Society (PICS) Statement: Increased number of reported cases of novel presentation of multi system inflammatory disease. Available at <https://picsociety.uk/wp-content/uploads/2020/04/PICS-statement-re-novel-KD-C19-presentation-v2-27042020.pdf> (Accessed on May 15, 2020).

5. Health Alert Network (HAN): Multisystem Inflammatory Syndrome in Children (MIS-C) Associated with Coronavirus Disease 2019 (COVID-19). <https://emergency.cdc.gov/han/2020/han00432.asp> (Accessed on May 15, 2020).

6. Verdoni L, Mazza A, Gervasoni A, et al. An outbreak of severe Kawasaki-like disease at the Italian epicentre of the SARS-CoV-2 epidemic: An observational cohort study. *Lancet* 2020; epub.

7. European Centre for Disease Prevention and Control Rapid Risk Assessment: Paediatric inflammatory multisystem syndrome and SARS CoV 2 infection in children. Available at: <https://www.ecdc.europa.eu/sites/default/files/documents/covid-19-risk-assessment-paediatric-inflammatory-multisystem-syndrome-15-May-2020.pdf> (Accessed on May 17, 2020).

8. World Health Organization Scientific Brief: Multisystem inflammatory syndrome in children and adolescents with COVID-19. Available at: [World Health Organization Scientific Brief: Multisystem inflammatory syndrome in children and adolescents with COVID-19](https://www.who.int/scientificbriefs/20200518-mis-c) (Accessed on May 17, 2020).



# ადამიანი ჯანმრთელი უნდა იყოს და არა სანქსპერიმენტო მასალა

იბ. ღოღობე,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ბ. ჩახუნაშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი (თბილისი, საქართველო)

ჯანმრთელობა – ბუნებისაგან ყველაზე უდიდესი სანუქარია, რაც ადამიანმა მისაგან მიიღო. ეს არის საუკეთესო ფორმისა და არაჩვეულებრივად სრულყოფილი ორგანიზმი, ცხოვრების სიმწველესთან ბრძოლის უნივერსალური მდგრადობის გამოვლენით – სიცოცხესთან და პაპანაქებასთან, ჭრილობებთან და შხამებთან, შიმშილთან და ნერვიულ შერყევებთან, შიმშილთან და დაავადებებთან. სამწუხაროდ, ყველა ადამიანი ერთნაირი ჯანმრთელობით არ არის დაჯილდოებული. ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება ჯანმრთელობა, დაავადებები კი – სულ უფრო მატულობს. ყოველი ადამიანის სიცოცხლე წარმოდგენილია ორი ურთიერთსაპირისპირო ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთზემოქმედების პროცესით – ჯანმრთელობის შენარჩუნებითა და დაავადებების განვითარებით.

დაავადება იწყება იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზმზე ზემოქმედებას იწყებს ძლიერი გამდიხიანებლები, რომლებსაც ის გამოყავს წონასწორობიდან ან მაშინ, როცა დაქვეითებულია ორგანიზმის უნარიანობა გაუწიოს წინააღმდეგობა ჩვეულ გამდიხიანებლებს.

აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანების რიცხვი ძალზე დაბალია, უმეტესობა კი – იმყოფება ე.წ. „მესამე მდგომარეობაში“ – ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებულ მდგომარეობაში. ორგანიზმი მუდმივად ებრძოლება დაავადებების განვითარებას, რომლის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია მისი ჯანმრთელობის რეზერვებზე

თანამედროვე ეპოქაში ადამიანი ყოველთვის ვერ აცნობიერებს, რომ მისი ჯანმრთელობა მხოლოდ მის ქცევაზეა დამოკიდებული. ის თვითონვე ანადგურებს ბუნებას, უარს არ ამბობს მიწიერ ცდუნებებზე (ალკოჰოლზე, თამბაქოზე, ნარკოტიკებზე და ა.შ.), რომლებიც აჩქარებს სიკვდილის მოახლოებას, ანუ ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. ორგანიზმში განვითარებული დიდი ენერგოდანახარჯები (ფიზიკური თუ გონებრივი) იწვევს ორგანიზმის გამოფიტვასა და მთელი რიგი დაავადებების წარმოშობას.

დღეს, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა: ვფლობ კი ცოდნას ჩემს ორგანიზმზე? ვიცი კი როგორ ვმართო ჩემი ორგანიზმი? სამწუხაროდ არ იცის, რომ საკუთარი ორგანიზმი ადამიანს ბრძანებლობს და იმორჩილებს. ადამიანიც მას მიყვება, ავადდება და ექვემდებარება დაავადებიდან გამომდინარე სიურპრიზებს.

XIX-ე საუკუნეში კ.მარქსი „თავისუფალი ბეჭდვის დებატებში“ აღნიშნავდა, რომ: „ბუნებისაგან ადამიანური სხეული მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. მაგრამ, ადამიანი რატომ მიმართავს ექიმს მხოლოდ მაშინ, როცა ავად ხდება, და არა როცა ის

ჯანმრთელია? იმიტომ რომ, არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმი უკვე არის ბოროტება. მუდმივი სანუქარო მურგობა გარდაქმნის სიცოცხლეს ბოროტებად, ხოლო სხეულს – მედიცინის კოლეგებისთვის ვარჯიშების ობიექტად. ნუთუ სასურველი არ არის სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე, შემდგარი მხოლოდ სიკვდილისგან ასაცილებელი ღონისძიებების ჩატარებით? ნუთუ სიცოცხლისათვის აგრეთვე არ არის დამახასიათებელი თავისუფალი მოძრაობა? რა არის დაავადება, თუ არა სიცოცხლე შეზღუდული საკუთარ თავისუფლებაში? თუმცა სიცოცხლე კვდება, მაგრამ სიკვდილმა არ უნდა იცოცხლოს“. აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის საინტერესო განსაზღვრა – ეს არის შეუზღუდავი სიცოცხლე საკუთარ თავისუფლებაში.

მსოფლიოში მკვეთრად იზრდება იშვიათი და უცნაური დაავადებების რაოდენობა (დღეისთვის აღრიცხულია რვა ათასზე მეტი შემთხვევა), რომელთა ეტიოლოგიაზე, პათოგენეზსა და მკურნალობაზე ცოტა რამ თუ არის ცნობილი; საერთოდ, დაავადებების არასწორმა თერაპიულმა მკურნალობამ გაახშირა გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა (საგარაუდოდ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ შინაგანი ორგანოების დაავადებების ფარულად მიმდინარეობა, დაგვიანებული და არაზუსტი დიფერენცირებული დიაგნოსტიკა), რამაც გაზარდა ქრონიკული პათოლოგიების, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული დადებითი მოტივაცია, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიაღწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას. დღეს, აშკარად არის გამოკვეთილი თანამედროვე ადამიანის სამი მთავარი მტერი: დეპრესია, ჰიპოდინამია და დაცემული ზნეობა. თანამედროვე ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივდა, თუმცა დღეს ის გაცილებით ნაკლებად მოძრაობს, ბევრს ჭამს, აქვს მანეჩევი, დაკარგა სუფიერება. ყოველივე ამის გამო თანამედროვე ადამიანი მოღუდნადა, დაავადმყოფდა და დაღარდიანდა. მართალია ეპიდემიებთან ბრძოლა ისწავლა, მაგრამ სანაცვლოდ სხვა, „ცივილიზაციის დაავადებები“ დაემატათ. ეს არის გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მათარებელი სისტემის პათოლოგიები, ონკოლოგიუ-



რი დაავადებები. აღნიშნულ დაავადებათა აღმოცენება, განვითარება და შედეგი დამოკიდებულია არა მხოლოდ გარეგან ფაქტორებზე, არამედ საკუთრივ ადამიანის ცხოვრების წესზე. მედიცინამ და ჯანდაცვამ მიაღწიეს იმ დონეს, რომელითაც მაქსიმალურად არის შესაძლებელი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება, თუმცა ეს არ კმარა, საჭიროა მოსახლეობის გაჯანსაღების სხვა გზების ძიება. სწორედ ეს გზაა ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომელიც ადამიანმა თავად უნდა დაიცვას და რომლის არსიც არის სულისა და სხეულის (ანუ ფსიქიკისა და სომის) ჯანმრთელობის შენარჩუნება თვითშეზღუდვისა და საგანგებო ვარჯიშების მეშვეობით.

მიუხედავად დიდი წარმატებისა მედიცინაში, პროგრესულად მოიმატა ავადმყოფთა რაოდენობამ და საზოგადოებაში ნაკლებად მოიძებნება ჯანმრთელი ადამიანი, ეპიდემიების ხასიათი მიიღო ქრონიკულმა დაავადებებმა, მოიმატა სიკვდილიანობამ, გახშირდა ქირურგიული ჩარევები და ა.შ. ვალდებულნი ვართ (ჯანმრთელობის მეცნიერების) პრინციპების გაუთვალისწინების ფონზე.

ძალზე ძნელია, ხოლო რიგ შემთხვევაში კი შეუძლებელიცაა განვსაზღვროთ, სად მთავრდება ჯანმრთელობა და იწყება დაავადება. გარკვეულ შემთხვევებში ადამიანს უკანასკნელ დღემდე არ შეუძლია შეიგრძნოს ყველაზე საშიშელი დაავადება და, პირიქით, იტანჯებოდეს მოჩვენებითი დაავადებით, არა იმდენად დაავადებით, რამდენადაც მისი შეგრძნებით, იტანჯებოდეს ძლიერ და მუდმივად. მედიცინის უდავო პროგრესი უკანასკნელ ათწლეულში, გვეგონა გაუმჯობესდებოდა, უფრო მაღალ დონეზე ასწევდა დიაგნოსტიკური პროცესის თამასას, მაგრამ ექიმების მხედველობის ველიდან გამოვარდა პაციენტების ის უზარმაზარი მასა, რომელთა კლინიკური სიმპტომები მკაფიოდ არ ეტეოდა გარკვეულ ნოზოლოგიურ ფორმაში ან, თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, აშკარად არ შეესაბამებოდა არსებულ დიაგნოზს.

ადამიანი, თავისი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის იყენებს გარემოს იმ ენერგიას, რომელშიც ის ცხოვრობს, სადაც სვამს, სუნთქავს და ჭამს. მეცნიერები თვლის, რომ ის ენერგია, რომელსაც იძლევა ჰაერი წყალი და საკვები, შეადგენს აუცილებელი ენერგიის 25 პროცენტს. ადამიანის ენერგეტიკული ბალანსის ღომის წილი კოსმოსურ ენერგიაზე მოდის (მართლმადიდებლებში ეს ღმერთის მადლად აღიქმება, ინდოელი იოგებისათვის-პრანად). კოსმოსური ენერგიის მარაგზეა დამოკიდებული სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა, საჭმლისმომწელებელი, ენდოკრინული და სხვა სისტემებისა და ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება. ამასთან, კოსმოსური ენერგია არის აზროვნების პროცესისა და ფსიქიკური მოქმედების ძირითადი წყარო. ადამიანმა, შეიძლება ნაკლებად იკვებოს და მიიღოს სითხე, მაგრამ ის იყოს ძალზე ჯანმრთელი, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად (სულიერად). თუ რაიმე ფაქტორი ხელს უშლის ამ ენერგიის შესვლას ორგანიზმში, მაშინ იქნება მთელი რიგი დარღვევები, რომელსაც მიყვავართ დაავადების წარმოშობამდე. აქედან გამომდინარე, ადამიანის ენერგეტიკული პოტენციალი უპირატესად დამოკიდებულია კოსმოსურ ენერგიაზე.

შეუძლია კი ადამიანს ავად არ გახდეს? რა თქმა

უნდა, არა. მას შეუძლია არ შეიგრძნოს დაავადება, მაგრამ არ შეუძლია იყოს აბსოლუტურად ჯანმრთელი. მრავალი ადამიანი დარწმუნებულია თავის ჯანმრთელობაში – ეს კარგია, მაგრამ მიუღწეველია. რომ ვეცადოთ, გავერკვიოთ ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებულ ურთიერთკავშირში აუცილებელია დავაზუსტოთ, რა იგულისხმება ამ კატეგორიების ქვეშ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა – ეს არის დაავადებისა და ფიზიკური დეფექტის უქონლობის პირობებში ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის სრული მდგომარეობა. რაც შეეხება დაავადებას, დიდ სამედიცინო ენციკლოპედიაში მოყვანილია მისი თერთმეტი განმარტება, ყოველი მათგანი კი ძალზე სუსტია. ჯერ კიდევ 19-ე საუკუნეში ვირხოვმა აღნიშნა: „დაავადება – ეს არის სიცოცხლე არანორმალურ პრობებში“.

მიმდინარე ეპოქაში ნორმალური ჯანმრთელი ადამიანების უმეტესობა არ ეწერება არც ავადმყოფების, არც ჯანმრთელების კატეგორიაში, იკავებენ რა შუალედურ მდგომარეობას, იმყოფებიან ნორმისა და პათოლოგიის ზღვარზე. მათთვის ძნელია რაიმე დიაგნოზის დასმა. მათგან ნაწილი იტანჯება მრავალი ორგანოებისა და სისტემების სხვადასხვა დარღვევებით, რიგი პაციენტებისა კი კვდება ცნობილი ან უცნობი მიზეზით. აუტოფსიის ჩატარებისას ორგანოებში არ აღინიშნებოდა მკაფიოდ გამოხატული ცვლილებები (მაგალითად, ფიზიკური გადატვირთვა, უეცარი არითმია, სტრესული სიტუაციები, კორონაროსპაზმები ნაკლებად ცნობილი ან ნორმალური სისხლძარღვებით). ავადმყოფთა მკურნალობა შეუძლებელია ჯანმრთელობის არსის ღრმა ცოდნის გარეშე. დაავადების დიაგნოსტიკაში ჯანმრთელობის ხარისხის იგნორირებამ დამღუპველი როლი შეასრულა მედიცინის განვითარების პროცესში. ეს მიმართულება ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩიხში მოექცა და ძალზე ძნელია, ხოლო რიგ შემთხვევაში კი შეუძლებელიცაა განვსაზღვროთ, სად მთავრდება ჯანმრთელობა და იწყება დაავადება. გარკვეულ შემთხვევებში ადამიანს უკანასკნელ დღემდე არ შეუძლია შეიგრძნოს ყველაზე საშიშელი დაავადება და, პირიქით, იტანჯებოდეს მოჩვენებითი დაავადებით, არა იმდენად დაავადებით, რამდენადაც მისი შეგრძნებით, იტანჯებოდეს ძლიერ და მუდმივად. მედიცინის უდავო პროგრესი უკანასკნელ ათწლეულში, გვეგონა გაუმჯობესდებოდა, უფრო მაღალ დონეზე ასწევდა დიაგნოსტიკურ პროცესს, მაგრამ ექიმების მხედველობის ველიდან გამოვარდა პაციენტების ის უზარმაზარი მასა, რომელთა კლინიკური სიმპტომები მკაფიოდ არ ეტეოდა გარკვეულ ნოზოლოგიურ ფორმაში ან, თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, აშკარად არ შეესაბამებოდა არსებულ დიაგნოზს.

ავადმყოფთა მკურნალობა შეუძლებელია ჯანმრთელობის არსის ღრმა ცოდნის გარეშე. დაავადების დიაგნოსტიკაში ჯანმრთელობის ხარისხის იგნორირებამ დამღუპველი როლი შეასრულა მედიცინის განვითარების პროცესში. ეს მიმართულება ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩიხში მოექცა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი მაშინ ითვლება ჯანმრთელად, როცა მისი სასიცოცხლო ენერგეტიკული ძალა გამომდინარეობს სულიერებიდან და კოსმოსური კანონის შესაბამისად. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ენ-



ერგის ფუნქციური დატვირთვა გაწონასწორებულია ორგანოების სისტემური ურთიერთკავშირით. ეს კი ჯანმრთელობის შენარჩუნების ოპტიმალურ პირობებს ქმნის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულებით, ჯანმრთელობა განიხილება, როგორც ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა. აქედან, იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სასიცოცხლო ენერგეტიკული ძალა, გამოძინარე სულიერი რეალობიდან შესუსტებული და დამახინჯებულია, ორგანიზმში ირთება კოსმოსური კანონის საპირისპიროდ მიმართული მექანიზმები, რაც იწვევს ბიოენერგეტიკული ნაკადების დაზიანებულ არხებში მათი გადაადგილების ბლოკირებასა და პათოლოგიური პროცესების წარმოშობას. ეს კი დაავადების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. უკვე დადგა ის დრო, როცა საჭიროა გამოვიდეთ პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენის ტყვეობიდან, როცა ვქადაგებთ „ადამიანი იწყება და მთავრდება ფიზიკური სხეულით“. სინამდვილეში კი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები იმართება კოსმიური გონით (ე.ი. ღმერთის მიერ, როგორც მიიხსენიებენ ჩვეულებრივი ადამიანები).

ეპოქალური გამოძახილით ადამიანის გამოჯანმრთელებაში დიდ როლს თამაშობს შედარებით ახალი მეცნიერება – ვალეოლოგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირების, მისი შენარჩუნებისა და გაკავების აუცილებელ გზებსა და ხერხებს. ოფიციალური მიდგომით ვალეოლოგიამ ადამიანს უნდა შეასწავლოს პირადი ჰიგიენური დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპები, გაზარდოს ეკოლოგიური წიგნიერების ხარისხი.

ჯანდაცვის პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად სამკურნალო მედიცინის მიღწევებისა, მოსახლეობის ავადობის დონე და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანახარჯები ძალზე მაღალი რჩება. იდეალურად ჩატარებული სამედიცინო ღონისძიებები ზოგადი ჯანმრთელობის მისაღწევად არ იძლევა სასურველ ეფექტს, რადგან ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ფაქტიურად სხვა საკითხის გამოყენებით წყდება – უკვე ავადმყოფების მკურნალობის საშუალებით.

ადამიანის დაავადების არსიდან გამომდინარე, როგორც დიალექტიკურად მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესი, პროფესორმა ს. პავლენკომ წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი დაავადების მიმდინარეობაში წამყვანია არა მხოლოდ პათოგენეზი (დაავადების განვითარების მექანიზმი), არამედ მონაწილეობს სანოგენეზიც (ორგანიზმის დაცვით-შეკუმშვითი მექანიზმების კომპლექსი), რომელთა ურთიერთშემოქმედებაზე დამოკიდებული დაავადების გამოსავალი და ჯანმრთელობის ხარისხი. სამწუხაროდ, ქართულ მედიცინაში არ მიმდინარეობს განხილვები ისეთი ნოზოლოგიური საკითხებისა, როგორიცაა პათოგენეზი და განსაკუთრებით სანოგენეზი. სხვათა შორის, ისინი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მედიცინის ძალზე მნიშვნელოვანი და პერსპექტიული პრობლემებით და საგრძნობლად განაპირობებს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივას. მედიცინის სტრუქტურებამ მიიხსენიებენ შემდეგ კომპონენტებს: მეცნიერებას დაავადებებზე (თერაპიას), მეცნიერებას

ვარეთა გარემოს ორგანიზმზე ზემოქმედებას (ჰიგიენას), მეცნიერებას გამოჯანმრთელების მექანიზმებზე (სანოგენეზს) და მეცნიერებას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე (სანოლოგიას). პათოგენეტიკური და სანოგენეტიკური რეაქციების ინტენსივობა და ხარისხი ერთი დაავადების მიმდინარეობის შემთხვევაში, შეიძლება საგრძნობლად შეიცვალოს ერთი პროცესის მეორეში გადასვლით. ამიტომ, თანამედროვე მედიცინაში სანოგენეზსა და პათოგენეზს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა უნდა იკავებდეს ერთ-ერთ მთავარ ადგილს. პათოგენეზსა და სანოგენეზს შორის ბრძოლა განსაზღვრავს დაავადების ხარისხობრივ და რაოდენობრივ თავისებურებებს, მისი განვითარების დინამიკას, და აგრეთვე დაავადების ამა თუ იმ გამოსავალს: გაჯანსაღებას ან სიკვდილს.

როდესაც დალაი ლამას ჰკითხეს: თუ რა აოცებდა ყველაზე მეტად? მან უპასუხა: „ადამიანი. ის სწირავს თავის ჯანმრთელობას, რომ გამოიმუშავოს ფული. შემდეგ ის სწირავს ფულს, რომ დაიბრუნოს დაკარგული ჯანმრთელობა.“ ასე, რომ არ მოხდეს, საჭიროა ადამიანმა ადრეული ასაკიდან გამოიმუშავოს სწორი დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, რადგან ეს ასაკი ყველაზე გამოსაღწეა სწავლადმი, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური გაგებით. მოზრდილებში ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარ პირობას წარმოადგენს არა პირდაპირი სამედიცინო ზემოქმედება, არამედ ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება.

თანამედროვე მედიცინის უდიდესი პარადოქსი იმაშია, რომ ისახავს რა თავის მიზნად ადამიანის ჯანმრთელობის მიღწევას, ის ძირითადად დაკავებულია დაავადებების პრობლემური საკითხებით. სწორედ, ეს პათოცენტრისტულ სტრატეგიას ღრმა კრიზისში მიყავს ჯანდაცვის მთლიანი სისტემის მუშაობის შედეგინობა. საქართველოში ყოველდღიურად მატულობს ავადობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკური მაჩვენებელი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების პროგნოზით განვითარებულ ქვეყნებშიც კი მოსალოდნელია არაინფექციური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა გაიზარდოს ათწლეულის მანძილზე (2005–2015 წ.წ.) 17 პროცენტით. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვარაუდისა, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ შეიძლება მიიყვანოს ბიოლოგიური სახეობა – ომო შაპინს ბიოლოგიურ და ფსიქიკურ დეგრადაციამდე და განადგურებამდე. სწორედ ამ შექმნილმა მდგომარეობამ უნდა დააფიქროს კაცობრიობა, შეიმუშავოს სიტუაციიდან გამომდინარე რისკ-ფაქტორების დადგენის კონცეფცია, რომელიც მიმართული იქნება ქრონიკული არაინფექციური დაავადებების ასაცილებლად. აზრს მოკლებულია შეხედულება: რაც უფრო მეტად იქნება განვითარებული მედიცინა, მით უფრო მეტად გამოვლინდება ენდოგენური რისკ-ფაქტორები (მაგალითად, დღევანდელი მონაცემებით, გამოვლენილია გულის იშემიური დაავადების 40%-ზე მეტი რისკ-ფაქტორი). დაავადებების რისკ-ფაქტორების წარმოშობის სფუძველში და გამოვლენაში დევს ცოცხალი სისტემის ერთ-ერთი ფაქტორის (ჯანმრთელობის შენარჩუნების მექანიზმების) აქტივობის დაქვეითება. ამავე მიზეზით განპირობებულია ფართოდ გავრცელებული ავადმყოფის პოლისინდრომუ-



ლი მდგომარეობის დიაგნოსტიკა და პოლითერაპიული მიდგომა. თითოეული სამედიცინო მიმართულების ექიმი-სპეციალისტი ერთსა და იმავე პაციენტში დიაგნოსტიკებს მხოლოდ „თავის“ დაავადებას და ნიშნავს ვიწრო მიმართულების პრეპარატებს. ასე, რომ სამკურნალო-სადიაგნოსტიკო დაწესებულებაში მოხვედრისას ავადმყოფი დაავადების მიმდინარეობის პროცესში იძენს სხვადასხვა დიაგნოზების ჩამონათვალს და მკურნალობის პოლითერაპიული პრეპარატების მოხმარების არასაიმედო გამოცდილებას. აშკარად ჩანს, რომ მომავალში სრულყოფილობამდე მივა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების ეფექტურობა, მაგრამ ეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მისაღწევად შეუძლებელია ჯანდაცვის პათოციენტრისტული სტრატეგიის უპირატესობის მინიჭების პირობებში.

უკანასკნელ წლებში ჩვენს პლანეტაზე მომხდარი კატაკლიზმები გვარწმუნებს: თანამედროვე ცივილიზაციის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია პასიურიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა. ამ გადაუდებელი ამოცანის შესრულება დამოკიდებულია ისეთი რისკ-ფაქტორების აცილებაზე, როგორცაა: არაჯანსაღი ცხოვრების წესი და არაღამაკამყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები (50%-მდე), მზარდი ეკოლოგიური კრიზისი (20%-მდე), დამძიმებული გენეტიკური ფაქტორები (16%-მდე), ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის გაუმართავი მუშაობა (14%-მდე).

ვალეოლოგიის ძირითად მეთოდს წარმოადგენს სისტემური ანალიზი, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებაზე, ჯანმრთელობის რეზერვებზე, მათ ზრდაზე და განვითარებაზე. დღეს, ვალეოლოგიაში აქტიურად ფუნქციონირებს ორი მიმართულება: პედაგოგიური და სამედიცინო. სამედიცინო ვალეოლოგია იკვლევს ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებულ კლინიკურ განსხვავებას, შეისწავლის ჯანმრთელობის შენარჩუნების ღონისძიებებსა და დაავადების აცილების პროფილაქტიკურ ხერხებს, სისტემური მიდგომით შეიმუშავებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ცალკეულ სოციალურ-ასაკობრივ ჯგუფში მიზნობრივად გამოიყენებს ადამიანის ორგანიზმის ბიოენერგეტიკულ შესაძლებლობებს. ვალეოლოგიას გააჩნია პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი განათლების ამოცანები, კერძოდ:

1. უზრუნველყოს ინდივიდუალური განვითარების ეტაპზე ბაზისური მოთხოვნები და მისი რეალიზაცია;
2. შეასწავლონ ადამიანებს თვითდიაგნოსტიკის, თვითშეფასების, თვითკორექტირების, თვითკონტროლისა და თვითგანვითარების მეთოდები. ინდივიდუალური ორგანიზმის რეზერვული შესაძლებლობები („შეიცან და შექმენი საკუთარი თავი“), უფრო მეტად გაზრდის გაჯანსაღების პროცესს.
3. განწყობის ფასეულობების გათვალისწინებით შეადგინოს სასიცოცხლო პრიორიტეტები ჯანმრთელობაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე და პიროვნების თვითრეალიზაციაზე.
4. გააზრებულ მიდგომით განიხილოს პიროვნებისა და სამყაროს ერთმანეთთან და ამით შექმნას ანთროპო-ეკოლოგიური ცოდნის გარკვეული პრიორიტეტი.

არ უნდა დაგვაწყვედეს ისიც, რომ არსებობს ჯანმრთელობის ორი ძირითადი დოქტრინა: დასავლური, რომელიც ეფუძნება სოკრატეს თეზისს: „ადამიანო შეიცან თავი შენი“ და მეორე – აღმოსავლური, რომელიც ეფუძნება კონფუციუსის თეზისს: „ადამიანო შექმენ საკუთარი თავი“. XXI საუკუნეში შესაძლებელია ექიმიც და პედაგოგიც დაეთანხმოს ამ დოქტრინების გაერთიანისხვნებას. ვალეოლოგმა ადამიანს უნდა უთხრას: „შეიცან თავი შენი და შექმენი საკუთარი თავი“. ადამიანი საკუთარ ჯანმრთელობას ინარჩუნებს ორგანიზმის დაცვით-შეფუძნებით რეაქციებით, რაც განპირობებულია მისი სხეულის შიდა გარემოს მუდმივობითა და ადაპტაციის არსებული სასიცოცხლო მდგომარეობით. ყოველივე ეს რეგულირდება რეფლექსური და ჰუმორული გზებით.

სამყაროში ადამიანის ფენომენი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ჩვენამდე მოტანილი თქმულებით, უფაღმა ადამიანი თავის ხატად შექმნა, ანუ იგი სამყაროს მიკომოდელად ჩამოაყალიბა და აქედან გამომდინარე, მისი ფიზიკური სხეულის ორგანოები და სისტემები ერთმანეთში ისევე ზემოქმედებენ, როგორც სამყაროში არსებული პლანეტები და ვარსკვლავები. ზეცაში არსებული ნივთიერებები შემდგარია მსუბუქი ელემენტებისაგან (ჟანგბადი, წყალბადი, ნახშირბადი, აზოტი); დედამიწა კი – „მინერალური გეამისაგან“, რადგან ის აგებულია მძიმე ელემენტებისაგან (ნატრიუმი, კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, რკინა, სპილენძი). აქედან გამომდინარე, ადამიანმა ხილული და უხილავი სამყარო ერთმანეთთან დააკავშირა, რადგან იგია ერთადერთი არსება, რომელშიც ერთადაა მოცემული ორი ბუნება – სხეულებრივი და სულიერი. ადამიანის ორბუნებოვნების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია, გავივით რაობა, არსი და დასაბამი ავადმყოფობისა, სიკვდილისა და სიცოცხლისა, სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობისა.

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობა განპირობებულია ადაპტაციური მექანიზმების გაძლიერებითა და განმტკიცებით, რომელთა სრულყოფილი ამოქმედება ეფუძნება ოთხ მთავარ პრინციპს: სუნთქვას, მოძრაობას, აზროვნებასა და კვებას. ადამიანი უწყვეტად ივსოვს სასიცოცხლო ენერჯიას ხარჯავს არა მხოლოდ მაშინ, როცა აზროვნებს, ფიქრობს, მუშაობს, ფიზიკურად აქტიურობს, არამედ მაშინაც, როცა ისვენებს და ძინავს. გული, ფილტვები, თირკმლები და სხვა ორგანოები არასოდეს ისვენებს. მათი ცხოველყოფილობა მუდმივად მიმდინარეობს და უწყვეტად სჭირდებათ ენერჯიის მუდმივი მარაგის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საჭიროა შემდეგი პრინციპების გათვალისწინება, როგორცაა:

- პირველი – ფიზიკური სხეულის ჯანმრთელობა დამოკიდებულია ადამიანის ენერგეტიკულ, ემოციურ, ინტელექტუალურ და სულიერ სფეროზე;
- მეორე – ადამიანი ჯანმრთელია მაშინ, როცა მისი ორგანიზმი მთლიანად და ჰარმონიულად დაკავშირებულია ბუნებასთან და კოსმოსთან, ცოცხლობს თავისი სულიერი, ბიოლოგიური და სოციალური ამოცანების შესაბამისი გადაწყვეტის ფარგლებში;
- მესამე – ახლებური მიდგომით გვასწავლის დაავადებასთან დამოკიდებულებას. დაავადება არ არის დიდი ბოროტება, რომელიც გადაუდებლად საჭირო-



ებს მის აღმოფხვრას ნებისმიერი საშუალებით. დაავადება წარმოადგენს ტრანსფორმაციულ სივანლს, მითითებას დააბრუნოს ორგანიზმის ფუნქციონირება საჭირო მიმართულებებით;

მეოთხე – ჯანმრთელობა მარტივი მიდგომით არ არის მხოლოდ დაავადების უქონლობა, არამედ ის წარმოადგენს შინაგან სასიცოცხლო დინამიურ ძალას, რომელიც ზღუდავს დაავადების განვითარების პროცესს;

მეხუთე – სრული ჯანმრთელობის მიღწევა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც გააჩნია საკმარისი ცოდნა და რწმენა, პასუხისმგებლობა და მიზანსწრაფვა. ადამიანი იმდენად შეიძლება იყოს ჯანმრთელი, რამდენადაც მოცემულ დროში ის თვლის შესაძლებლად.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ვადეოლოგიას ადამიანი არ მიყავს მხოლოდ სომატური, მატერიალური სხეულისკენ, რომ ის აუცილებლად უნდა დაავადდეს ან მოკვდეს (თერმოდინამიკის მეორე კანონის შესაბამისად), არამედ განიხილავს მას როგორც სავსე ჭურჭელს სასიცოცხლო მუდმივი ენერგიით, ფლობს საკუთარი სხეულის ცნობიერებას და გააჩნია უნარი საკუთარი სულიერების ძალით წინაუღდეს ორგანიზმში მოსალოდნელი ნებისმიერი რღვევის პროცესებს.

არ არის დაზუსტებული დაავადებისწინა მდგომარეობის კონკრეტულობა და დეფინიცია. არსებობს დაავადებისწინა მდგომარეობის ცნება, როგორც ჯანმრთელობას ან სხვა დაავადებას შორის არსებული შუალედური ფორმა, მათი სანოგენეზითა და პათოგენეზით და აგრეთვე კონკრეტული დაავადების პათოგენეზით. დაავადების ენდოგენური განვითარებისას მისი არსებობა (სიმპტომატიკა) ვლინდება მხოლოდ კონკრეტულად შექმნილ პირობებში. ჯანმრთელობიდან დაავადებაში გადასვლა ატარებს ნახტომისებურ ხასიათს, მაგრამ დროში არა აქვს საკმარისი ხანგრძლივობა.

მეცნიერებმა დადგინეს, რომ ადამიანების ჯანმრთელობა 20-25 პროცენტი უშუალოდ დამოკიდებულია შიდა ინდივიდუალურ გენეტიკურ ფაქტორებზე და 75-80 პროცენტი – სოციალურ-ეკოლოგიურ და არსებობის ეკონომიკურ პროცესებზე (ცხოვრების წესზე, გარემომრტყმული გარემოს მდგომარეობაზე, ჯანმრთელობის ხარისხზე და ა.შ.). აქედან კი ნათლად ჩანს, რომ ეკოლოგია და ჯანმრთელობა ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ეკოსოციალური კავშირები მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის, მოსახლეობისა და გარეთა გარემოს სიჯანსაღეს. ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევა ხშირად ხდება ნორმალური მეტაბოლიზმის მოშლის შედეგად, რომელიც გამოიწვევა ორგანიზმში უცხო ქიმიური ნივთიერებების და მათი შენაერთების ან ზეჭარბი რაოდენობის არსებობით, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს იმუნური სისტემის დაცვით შესაძლებლობებს.

ადამიანის სრული ჯანმრთელობა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღ სასიცოცხლო გარემოში – ეს აქსიომაა და ამიტომ საჭიროა ადამიანის მუდმივი მზრუნველობა გარეთა გარემოს მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, რაც თავის მხრივ, სრულფასოვან საფუძველს ქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი დონის შექმნისათვის. აი, ამას ქადაგებს ჯანსაღი გარემოს შექმნის კონცეფციის არსი.

ამრიგად, თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობა, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებაში, შენარჩუნებაში და განმტკიცებაში, აღმოჩნდა უძლური პასუხი გაცეს შემდეგ კითხვებს, როგორიცაა:

1. რატომ ირღვევა ადამიანის ჯანმრთელობა?
2. რატომ არ ღებულობს სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები მიზანდასახულ გადაწყვეტილებას ქვეყნის კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის ამოქმედებაში, კერძოდ ადამიანმა „ისარგებლოს ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვით“?
3. რატომ არ ინერგება უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში და ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურებში ვადეოლოგ – სპეციალისტების (ექიმის, პედაგოგის, ფსიქოლოგის) მომზადების თეორიულ-პრაქტიკული განათლების პროგრამული უზრუნველყოფა?
4. დაავადების მკურნალობისა და მისი ნაწილობრივი რეაბილიტაციის შემდგომ პერიოდში, რატომ არ ხერხდება ავადმყოფის სრული გაჯანსაღება?

ადამიანი, როგორც უფლის სამყაროს მიკრომოდელი და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ფენომენი, მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან მის ჯანმრთელობაზე დამოკიდებული პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობა, ქვეყნის მაღალი შრომითი პოტენციალი, კულტურისა და სახელმწიფოებრივი მართვის ეფექტურობა, ძლიერი არმიის შექმნა და ა.შ. ყოველივე ეს მოითხოვს ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციას, რათა ეფექტურად გადაწყდეს ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები, რაც უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერების – მედიცინის სფეროში. ადამიანის გაჯანსაღების მიზნით ექიმი-თერაპევტები, ჯერ კიდევ დაუზუსტებელი დიაგნოზების შემთხვევაში ავადმყოფებს უნიშნავს სხვადასხვა მედიკამენტს, რაც საუბედუროდ, დღეს საქართველოში უხარისხო და ფალსიფიცირებული წამლების სახით შემოდის. ორგანიზმის შესუსტებული მარეგულირებელი სისტემის წყალობით, წამალში არსებული ქიმიური ნივთიერებები, რომელსაც შეიცავს უფარვისი სამკურნალო პრეპარატები, იღუქება ორგანიზმში, რაც ხდება ახალ-ახალი სნეულებების წარმოშობის მიზეზი. არასწორ მკურნალობას მიყვავართ ქრონიკული დაავადებების ეპიდემიებთან და მზარდ ქირურგიულ ჩარევებთან. ადრეულ ასაკში მატულობს სიკვდილიანობის სტატისტიკური მაჩვენებელი. ჯანმრთელობის გაუარესებას ხელს უწყობს უამრავი საოჯახო ტექნიკა, ათასგვარი საღებავი, ლაქი და ა.შ. აქედან გამომდინარე, რთულად გამოიყურება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პრობლემური საკითხების ეფექტური გადაწყვეტა. სახელმწიფო და მისი დარგობრივი მიმართულებები დაინტერესებული უნდა იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მართვითა და არა ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმებით, რომელიც ხელს უწყობს დაავადებათა რაოდენობრივ ზრდასა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებას. ჯანდაცვის სისტემაში მეტად მყარად ფეხი მოიკიდა დაავადებული ხარჯზე ჯანდაცვის სისტემაში და საავთიაქო ქსელში არსებულმა ბიზნეს-გარემომ, რომელიც მუდმივად ზრდის თანხას მედიკამენტებზე და კიდევ უფრო მეტად აღარობებს მოსახლეობას. აქ, ბევრი რამის განხილვა შეიძლება, მაგრამ დღევანდელი



გადმოსახედიდან უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ადამიანის ჯანმრთელობა არ გაუხადოთ მედიცინისათვის საექსპერიმენტო მასალად.

**ლიტერატურა:**

1. Долидзе И.Д. – Тайны болезней и здоровой жизни 1998 Дербент;
2. Долидзе И. Д. – Основы профессиональной подготовки врача – терапевта 1997, Дербент;
3. ი. დოლიძე, თ. მიქიაშვილი – ინვალიდთა კინეზოლოგიის თავისებურებანი, 2008, თბილისი;
